ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამაგისტრო პროგრამა (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია)

მეოთხე სემესტრის სტუდენტი - ანა რობაქიძე

მობ: 595 97 87 74

mail: ani.robaqidze1@gmail.com

თემის ხელმძღვანელი: მაია ივანიძე

სამართლის დოქტორი

სამაგისტრო ნაშრომი თემაზე:

რესოციალიზაციის როგორც სასჯელის მიზნის მიღწევის პრობლემა დახურული ტიპის დაწესებულებაში

თბილისი, 2019 წელი

აბრევიატურები

სსკ- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი

ევროპული სასამართლო- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ევროპული კონვენცია-ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია

გვ. - გვერდი

იგ.- იგივე

იხ. - იხილეთ

ა.შ- ასე შემდეგ

პროფ.- პროფესორი

სარჩევი

აბრევიატურები 2

შესავალი 4

თავი I. სასჯელის მიზნები (ზოგადი მიმოხილვა) 7

1.1 რესოციალიზაცია როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი 9

თავი II. სასჯელაღსრულების დაწესებულების მიზანი 14

2.1 საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა 14

2.2 მსჯავრდებულის რესოციალიზაცია 15

თავი III. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები 21

3.1 თავისუფლების აკვეთის დაწესებულებების ტიპების ზოგადი მიმოხილვა 22

3.2 დახურული ტიპის დაწესებულება და მისი რეჟიმი 25

3.3 კონტაქტი გარე სამყაროსთან 29

3.4.სამარტოო პატიმრობის გამოყენება 37

თავი IV. დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსება 39

4.1 დაწესებულებაში მოთავსების ზოგადი საფუძვლები 39

4.2 რისკის განსაზღვრა 39

4.3 გადაწყვეტილების მიმღები ორგანო 42

4.4 სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა და მისი შესაბამისობა რესოციალიზაციის მიზანთან 43

4.5 გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში გადაყვანა (დისკრეციული თუ სავალდებულო) 46

დასკვნა 48

გამოყენებული ლიტერატურა 51

შესავალი

სასჯელის მიზნების მიღწევა, ქართული სისხლის სამართლის განვითარებასთან ერთად, მოითხოვს საკითხის უფრო სიღრმისეულ შესწავლასა და ანალიზს, ასევე ნორმათა კონკრეტიზებას და შინაარსის სწორ სამართლებრივ დასაბუთებას. აღნიშნული კი მეტად მნიშვნელოვანი და მეტიც, აუცილებელიც კია სამართლიანი სახელმწიფოს არსებობისთვის. სასჯელის მიზნების შესწავლა ასევე აქტუალურია სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის თვალსაზრისითაც.

საზოგადოების განვითარებასთან და სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციასთან ერთად, სასჯელის მიზნებზე მსჯელობა, განსაკუთრებით, კი მსჯავრდებულთა რესოციალიზაციაზე მსჯელობა აქტუალური გახდა ქართულ რეალობაში. დანაშაულთა სტატისტიკის დიდი მაჩვენებელი ქვეყანაში მოითხოვს, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის პრინციპის ქმედით განხორციელებას. რადგან დანაშაულის რიცხვის დიდი ოდენობა, მნიშვნელოვანი ვალდებულება და დიდი გამოწვევაა სახელმწიფოს სისხლის სამართლის პოლიტიკისთვის. წინამდებარე სამაგისტრო თემის კვლევის საგანია თუ, რამდენად არის უზრუნველყოფილი სახელმწიფოს სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის ეფექტურობა და შედეგები მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის უზრუნველსაყოფად და რამდენად მიიღწევა მსჯავრდებულთა საზოგადოებაში შემდგომი ინტეგრაცია, აგრეთვე რა შემთხვევაში თვლის სახელმწიფო რესოციალიზაციას, როგორც სასჯელის მიზანს, მიღწეულად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, რესოციალიზაციის ირგვლივ არსებულ პრობლემატიკაზე მუშაობა დღევანდელი გადმოსახედიდან რელევანტური და აქტუალურია.

საკითხის განხილვისას გამოიკვეთა არაერთი პრობლემა, რომელიც კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებზე მიანიშნებს. რიგ შემთხვევებში ნორმის ბუნდოვანება, საფუძველია იმისა, რომ იგი უფლებამოსილი პირის მიერ შესაძლოა ბოროტად იქნას გამოყენებული.

ნაშრომში გამოკვეთილი საკითხების სიღრმისეულად დამუშავების მიზნით, გამოყენებული იქნება ლოგიკური, სისტემური და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები.

აღნიშნული ნაშრომი შესავლის, დასკვნის, თავებისა და ქვეთავებისგან შედგება. ნაშრომი შეიცავს ოთხ თავს, სადაც უმნიშვნელოვანესი საკითხები ჩაშლილია ქვეთავებად.

პირველი თავი შედგება სასჯელის მიზნებთან დაკავშირებული საკითხების ზოგადი დახასიათებით, არკვევს რესოციალიზაციის, როგორც სასჯელის მიზნის მნიშვნელობას - თუ რამდენად მნიშვნელოვანია იგი და რა მიმართება აქვს სასჯელის სხვა მიზნებთან.

მეორე თავი ეთმობა სასჯელაღსრულების დაწესებულების მიზანს და აქ უფრო კონკრეტულად იქნება განხილული თუ რა როლს თამაშობს სასჯელაღსრულების დაწესებულება მსჯავრდებულის რესოციალიზაციის კუთხით და რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღნიშნულ დაწესებულებებს, როგორც რესოციალიზაციის, ასევე ზოგადად საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით.

მესამე თავში განხილულია თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ტიპების ზოგადი მომოხილვა. დეტალურად არის აღწერილი თითოეული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დამახასიათებელი ნიშნები, აგრეთვე მნიშვნელოვანი გარემოებები, რის გამოც განსხვავდება თითოეული დაწესებულება სხვა დანარჩენებისგან. სამაგისტრო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დახურული ტიპის დაწესებულების დახასიათებას და მისი რეჟიმის დეტალურად განხილვას. თუ რატომ საჭიროებს მსგავსი ტიპის დაწესებულებაში რესოციალიაზაციის - როგორც სასჯელის მიზნის მიღწევა, განსაკუთრებულ ძალისხმევას. აგრეთვე განხილულია გარე სამყაროსთან კონტაქტის აუცილებლობა, თუ როგორ ხორციელდება იგი და რამდენად დიდი მნიშვნელობისაა იგი მსჯავრდებულისთვის რესოციალიზაციის თვალსაზრისით. ცალკე ქვეთავადაა აგრეთვე გამოყოფილი მსჯავრდებულის სამარტოო

საკანში განთავსებასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხი და საკანონმდებლო ხარვეზი.

მეოთხე თავი დაეთმობა კონკრეტულად დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსების ზოგად საფუძვლებს, მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის

განსაზღვრის თავისებურებებს და მათი განსაზღვრის კრიტერიუმებს. აგრეთვე ზოგადად, აღნიშნულზე გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს აღწერასა და დეტალურად განხილვას. გამოკვეთილი იქნება მეტად მნიშვნელოვანი პრობლემა - მსჯავრდებულის უფლების შეზღუდვა კონკრეტულად მოუსმინონ მას საშიშროების რისკის განსაზღვამდე. აგრეთვე ცალკე ქვეთავი დაეთმობა სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის განხილვას და მის შესაბამისობას რესოციალიზაციის მიზანთან. აგრეთვე განვიხილავ გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში გადაყვანის მნიშვნელობას მსჯავრდებულისთვის საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის, თუ როგორ არის ეს საკითხი მოწესრიგებული საქართველოს კანონმდებლობით.

დასკვნის სახით შეჯამებული იქნება ყველა ის მნიშვნელოვანი საკითხი და მოსაზრება, რამაც გაიჟღერა მოცემულ კვლევაში. არგუმენტების შეპირისპირებისა და სწორი დასკვნის გამოტანის საფუძველზე, წარმოდგენილი იქნება საბოლოო პოზიცია ნაშრომში დასმულ პრობლემატურ შემთხვევებთან დაკავშირებით.

თავი I. სასჯელის მიზნები (ზოგადი მიმოხილვა)

პირველ რიგში, როდესაც სასჯელის მიზნებზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია განვმარტოთ თავად სასჯელის ცნება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სასჯელის ცნების დეფინიციას სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ ვხვდებით და იგი განმარტებულია სისხლის სამართლის თეორიაში.[1]

ზ. გოთუას აზრით სისხლისსამართლებრივი სასჯელი არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო იძულების ღონისძიება, რომელიც სასამართლოს განაჩენით გამოიყენება დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მიმართ. იგი დასჯაა, რომელიც მსჯავრდებულისათვის კანონით განსაზღვრულ უფლებებისა და თავისუფლებების ჩამორთმევასთან ან შეზღუდვასთან ერთად გარკვეული ტანჯვის მიყენებასაც გულისხმობს.[2]

ასევე საინტერესოა პროფ. გურამ ნაჭყებიას მოსაზრება სასჯელის ცნებასთან დაკავშირებით, მისი განმარტებით: სასჯელი არის სახელმწიფო იძულების განსაკუთრებული, უკიდურესი ზომა, რომელიც დანაშაულის ჩამდენ პირს ეკისრება სახელმწიფოს სახელით სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით, ართმევს ან უზღუდავს მსჯავრდებულს განსაზღვრულ სიკეთეს და იწვევს მასში მორალურ-ფსიქოლოგიურ ტანჯვას. [3] აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ სასჯელი თავისი ბუნებიდან და აღსრულების მექანიზმიდან გამომდინარე თავისთავად იწვევს მსჯავრდებულისთვის მორალურ და ფსიქოლოგიურ ტანჯვის მიყენებას, თუმცა ტანჯვის მიყენება არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც სასჯელის მიზანი.

სასჯელი რომ მართლაც იწვევს მსჯავრდებულის ფსიქოლოგიურ ტანჯვას, ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა მაშინ, როდესაც იგი მიმართულია გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ, ვინაიდან ისინი გაცილებით უფრო მძიმე მდგომარეობაში არიან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, ვიდრე განზრახი დანაშაულის ჩამდენი პირები.[4]

---

[1] ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ 28

[2] იხ. იქვე, გვ. 19

[3] გ. ნაჭყებია, მსჯავრდებულის ,,მორალური გამოსწორების“ საკითხისთვის, სამართალი, 1995, #3-4, გვ. 38.

[4] ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ 20

სასჯელის ცნებისაგან განსხვავებით, სისხლის სამართლის კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს სასჯელის მიზნებს. სასჯელის მიზნის ცნება კი შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ: სასჯელის მიზანი არის ის საბოლოო შედეგი, რომლის მიღწევისაკენ მიისწრაფვის სახელმწიფო თავის მიერ დადგენილი იძულებით ღონისძიებათა გამოყენების მეშვეობით.[5]

სსკ.ის 39-ე მუხლის მიხედვით სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. აღსანიშნავია, ამავე მუხლში არსებული ჩანაწერი, რომ სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება. სახელმწიფომ ისე უნდა უზრუნველყოს სასჯელის აღსრულება რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მსჯავრდებულის ღირსების დამცირების ყველა შესაძლო საფრთხე. მოკლედ განვიხილავ სასჯელის თითოეულ მიზანს.

,,სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი, გამოიხატება იმაში, რომ დაცულ იქნეს პიროვნება, საზოგადოება და სახელმწიფო დანაშაულებრივი ქმედებისგან. სამართლიანობის აღდგენის მიზანი მიღწეულია მაშინ, როცა სასჯელი საზოგადოებასა და დაზარალებულ პირს უბრუნებს სამართლიანობის უზენაესობის შეგრძნებას. სამართლიანობის აღდგენა გულისხმობს დანაშაულის ჩადენით დაზიანებული სამართლებრივი სიკეთის აღდგენას, ზიანის ანაზღაურებას და სასჯელის დაკისრებას. სამართალმა ისე უნდა მოაწესრიგოს ადამიანთა ქცევა რომ საპირისპირო ინტერესები სამართლიანად ურთიერთშეჯერდეს, დასჯადი ქმედება სამართლიანად დაისაჯოს, მოკლედ საზოგადოებაში წარმოშობილი სამართლებრივი პრობლემები სამართლიანად გადაწყვიტოს.“[6]

სასჯელი მიზანი-სამართლიანობის აღდგენა, „წარსულისაკენ არის მიმართული. უნდა აღდგეს ის მდგომარეობა, რაც დამნაშავემ თავისი ქცევით შეცვალა. ეს საკითხი, რასაკვირველია, პირდაპირი მნიშვნელობით არ შეიძლება გავიგოთ.“[7]

,,მართალია სასჯელის შინაარსი გარკვეულწილად მოიცავს სამაგიეროს მიზღვის ელემენტებს, მაგრამ სასჯელის არსი სამაგიეროს მიზღვაზე არ დაიყვანება. სასჯელის არსი მოიცავს პირის დასჯას. პიროვნებას ვსჯით,

---

[5] მართლმსაჯულება და კანონი, მზია ლეკვეიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, 2014, გვ. 18

[6] ი. ვარძელაშვილი სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ 57

[7] ო. გამყრელიძე, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი, -www.dgstz.ge, გვ. 3

იმიტომ, რომ აღდგეს დარღვეული სამართლიანობა ანუ განხორციელდეს სასჯელის მიზანი სამართლიანობის აღდგენა."[8] როგორც უკვე ავღნიშნეთ, სასჯელი თავისი ბუნებიდან და აღსრულების მექანიზმიდან გამომდინარე მართლაც იწვევს მსჯავრდებულისთვის მორალურ და ფსიქოლოგიურ ტანჯვის მიყენებას. თუმცა ტანჯვის მიყენება არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც სასჯელის მიზანი, იგი სასჯელის აღსრულების თანმდევი პროცესია და გარდაუვლად არის დაკავშირებული სასჯელის აღსრულებასთან.

1.1 რესოციალიზაცია როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი

შეიძლება ითქვას, რომ რესოციალიზაციის მიზნის მიღწევის გარეშე აზრს კარგავს სასჯელის სხვა მიზნების აღსრულებაც. მეტიც, მსჯავრდებულის რესოციალიზაცია შეიძლება განხილულ იქნას სასჯელის კიდევ ერთი მიზნის მიღწევის წინაპირობად - კერძოდ - ახალი დანაშაულის თავიდან აცილების. რადგან თუ არ იქნა მიღწეული რესოციალიზაციის მიზანი, მეტად სავარაუდოა რომ მსჯავრდებული გათავისუფლების შემდგომ კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში კი გამოვა რომ სასჯელის მხოლოდ ერთი მიზანი - სამართლიანობის აღდგენა იქნება მიღწეული, რაც მხოლოდ სამაგიეროს მიზღვის ტოლფასია. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ რესოციალიზაცია სასჯელის პირველი და უმთავრესი მიზანია.

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია, „ნიშნავს დამნაშავის საზოგადოებაში დაბრუნებას. დამნაშავე, როცა დანაშაულს სჩადის, უპირისპირდება საზოგადოებას, მოქმედებს მის საწინააღმდეგოდ. რაც მეტი იქნება ასეთი დაპირისპირება საზოგადოების მიმართ, მით უფრო სუსტდება საზოგადოება, სახელმწიფო და ვეღარ ასრულებს თავის დანიშნულებას. ამიტომ სახელმწიფო ცდილობს, რაც შეიძლება შეამციროს ცალკეული პიროვნებების მხრიდან სახელმწიფოსადმი დაპირისპირების შემთხვევები. მით უმეტეს, როცა ასეთი დაპირისპირება დანაშაულის ჩადენით ხდება"[9]

,,სასჯელის მიზნად რესოციალიზაციის აღიარება ყურადღების ცენტრში აყენებს სასჯელის ეფექტურობის საკითხს. უნდა ითქვას რომ ეს მარტო რესოციალიზაციის მიზანს არ შეეხება. სასჯელის ეფექტურობა, პირველ რიგში,

[8] ი. ვარძელაშვილი სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ 58

[9] ო. გამყრელიძე, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი, -www.dgstz.ge, გვ. 3-4

გულისხმობს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის შემდეგ მისი მორალური მრწამსიდან გამომდინარე, მომავალში დანაშაულის ჩადენაზე ხელის აღებას. შესაძლოა, რომ პირს დანაშაული ჰქონდეს ჩადენილი რთული ცხოვრებისეული სიტუაციის ზეგავლენით, ან წუთიერი სისუსტით, საკუთარ ქცევაზე კონტროლის შესუსტებით. ასეთი დამნაშავის გამოსასწორებლად ხშირად საკმარისია მისი დადებითი მორალური თვისებების განმტკიცება და პატიოსანი ცხოვრებისადმი ინტერესის გაღვივება."[10]

მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია, როგორც სასჯელის უმთავრესი მიზანი არ უნდა დარჩეს მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლში არსებულ დისპოზიციად და სახელმწიფომ უნდა გადადგას ქმედითი ნაბიჯები მის უზრუნველსაყოფად. ნორმის ეს ჩანაწერი, პირველ რიგში, სახელმწიფოს ვალდებულებას გულისხმობს, უზრუნველყოს მსჯავრდებულთა საზოგადოებაში დაბრუნება, ისე რომ მათ თავი იგრძნონ საზოგადოების სრულფასოვან წევრებად. ეს საკითხი იმდენად კომპლექსურია, რომ ის თანაბრად საჭიროებს როგორც სახელმწიფოს ხელშეწყობას, აგრეთვე მსჯავრდებულის მონდომებასა და მზაობას რესოციალიზაციისთვის და ასევე საზოგადოების მომზადებას აღნიშნული რესოცილიზირებული მსჯავრდებულების მისაღებად.

აღსანიშნავია, რომ რესოციალიზაციის ცნების სამართლებრივ განმარტებას ვხვდებით პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად მსჯავრდებულის რესოციალიზაცია არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება.

პროფესორი გ. ტყეშელიაძის აზრით, მთავარია მსჯავრდებული სასჯელის მოხდის შემდეგ გათავისუფლდეს კრიმინოგენური თვისებებისგან იმდენად, რომ მან მომავალში აღარ დაუშვას დანაშაულის რეციდივი. დამატებით იმის მოთხოვნა, რომ იგი ზნეობრივად ისეთ პიროვნებად იქცეს, რომ საერთოდ არ დაუშვას მორალური ნორმების დარღვევა, არარეალურია.[11]

---

[10] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, მზია ლეკვეიშვილი, თბილისი, 2018, გვ. 484

[11] გ. ტყეშელიაძე, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრის შესახებ, სერგო ჯორბენაძე - 70, საიუბილეო კრებული, თბილისი, 1996, გვ.409

აგრეთვე მნიშვნელოვანია რომ, დამნაშავის რესოციალიზაციის ნაცვლად, კოდექსში უნდა ჩაიწეროს „მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია, რადგან დამნაშავე გამოხატავს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, ხოლო სისხლის სამართალი პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ ადგენს. პირის სამართლებრივ მდგომარეობას ადგენს სისხლის სამართლის პროცესი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, პირის სამართლებრივი სტატუსია: ბრალდებული და მსჯავრდებული. აქედან გამომდინარე, ტერმინი დამნაშავე არაიურიდიული ტერმინია და უნდა მოხდეს მისი ჩანაცვლება. [12]

,,მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის წარმატებით განხორციელება ყოველთვის მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას. ესაა კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმა, რომელიც, ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, მოითხოვს ინდივიდუალურ მიდგომას. მსჯავრდებულის პიროვნების შესწავლისთვის საჭიროა მისი პიროვნების მონაცემების ცოდნა, რომელიც მის ქცევაზე, გარემოსა და მის პიროვნებაზე გავლენის მქონე გარემოებებზე დაკვირვების შედეგად მოიპოვება“.[13]

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია აუცილებელია საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვისათვის. თუ არ მოხდება მსჯავრდებულის რესოციალიზაცია იგი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. შესაბამისად, ვერ იქნება მიღწეული სასჯელის კიდევ ერთი მიზანი ახალი დანაშაულის თავიდან აცილება. ამიტომ მსჯავრდებულის რესოციალიზაციის უზრუნველყოფა მეტწილად განაპირობებს სასჯელის კიდევ ერთი მიზნის მიღწევის შესაძლებლობას.

დანაშაულის ჩამდენი პირი არ უნდა იქცეს დანაშაულთან ბრძოლის შიშველ ობიექტად. სასჯელის აღსრულების დროს შენარჩუნებულ უნდა იყოს ადამიანის არსებობისათვის აუცილებელი ინდივიდუალური და სოციალური პირობები, მისი ღირსების პატივისცემა, რაც ხელს შეუწყობს არა მათ გაბოროტებას, არამედ მათ რესოციალიზაციას.[14] აქედან გამომდინარე, ერთერთი ძირითადი საკითხი, სწორედ აღნიშნული უფლების პრაქტიკული რეალიზაციის ასპექტებია.

---

[12] გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, თბილისი, 2006, გვ. 157-158

[13] ი.დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, თბილისი, 2013, გვ. 30

[14] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/4/592, 2015

აუცილებელია ვიმსჯელოთ მსჯავრდებულთა ფსიქოლოგიურ საკითხებზე, რაც მათი რესოციალიზაციისთვის აუცილებელი ელემენტია. აღნიშნულში იგულისხმება მათი მზაობის ხელშეწყობა, დაუბრუნდნენ საზოგადოებას სრულფასოვან წევრებად. იმის გააზრება, რომ სოციუმი მათ დამნაშავის იარლიყს სამუდამოდ მიაკრავს, თრგუნავს მათ მზაობას რესოციალიზაციისათვის და ისინი საზოგადოებისგან გარიყვის რეალურ მოლოდინში არიან, უკლავს მათ მომავალზე პოზიტიური ფიქრისა და გამოსწორების სურვილს. სოციალური რეაბილიტაციისთვის მზადება და მსჯავრდებულთა შესაბამისი პროგრამებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ვალდებულებაა, რათა სასჯელის მიზნის, რესოციალიზაციის, აღსრულება ეფექტურად განხორციელდეს.

ასევე მნიშვნელოვანია გამოვყოთ თავად სახელმწიფოს დამოკიდებულება რესოციალიზაციის მნიშვნელობისადმი. რომელიც, არამხოლოდ გარკვეული პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებაში უნდა გამოიხატოს, არამედ პატიმართა ფსიქოლოგიური განწყობების გაუმჯობესებაში. რესოციალიზაცია ერთგვარი სწავლის პროცესია, რომლის დროსაც მსჯავრდებული სწავლობს დანაშაულის გარეშე ცხოვრებას, ქცევას, რაშიც მას სწორედ სახელმწიფო უნდა დაეხმაროს. რესოციალიზაცია არის თავისუფლებააღკვეთილი პირებისათვის სოციალიზაციის სპეციალური ფორმა, რომლის მიზანია სამართლებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ნორმებისადმი პატივისცემა. გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, მსჯავრდებული პირის (ციხის პირობებში) რესოციალიზაცია ეფუძნება ადამიანის ღირსებას და სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. მსჯავრდებულს, როგორც ადამიანური ღირსების მატარებელ პირს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს ღირსეულად (გამოსწორებული) დაუბრუნდეს საზოგადოებას. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას იზრუნოს იმ პირებზე, რომელთაც სოციალურ განვითარებაში ხელი ეშლებათ.[15]

თავისუფლების აღკვეთა, რა თქმა უნდა, თავისთავად არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ადამიანის ღირსების შემლახავად, თუმცა საჭიროა სახელმწიფომ ციხის პირობებში მსჯავრდებულს შეუქმნას ყველა პირობა, რათა იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს, როგორც პასუხისმგებლობით აღსავსე და კანონმორჩილი

[15] ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, თბილისი, 2011, გვ. 315

მოქალაქე, რომელიც ცხოვრებას დანაშაულის გარეშე გააგრძელებს. ამ მხრივ, აუცილებელია, რომ მსჯავრდებულს რეალურად მიეცეს შანსი დაბრუნდეს თავისუფლებაში ყოველგვარი (ციხის პირობებიდან გამომდინარე) უარყოფითი ზემოქმედების გარეშე. [16]

,,უნდა ვივარაუდოთ, რომ მსჯავრდებულთა მიერ დანაშაულის ხელახლა ჩადენის გარკვეული რისკი არსებობს. ამ რისკის დადგენა ხშირად შესაძლებელია. ამიტომ რეაბილიტაციის მეთოდის დროული და სათანადო გამოყენებით ეს რისკი მინიმუმამდე შეიძლება იყოს დაყვანილი. რისკის დონის შემცირება შესაძლებელია საპატიმრო ან არასაპატიმრო პროგრამის ფარგლებში, კერძოდ, საგანმანათლებლო, შრომითი ჩვევის გამომუშავების, სხვა გამასწორებელი ზემოქმედების გამოყენების მეშვეობით.“[17]

სასჯელის გამკაცრება, როგორც წესი, დადებით შედეგს იშვიათად იწვევს; პირიქით, ადამიანი ეჩვევა სისასტიკეს, რაც დამღუპველად მოქმედებს საზოგადოების წევრებისა და მათ შორის, მსჯავრდებულების ფსიქიკაზე. მთავარია, რომ სასჯელაღსრულების სისტემაში, კერძოდ კი, თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილებში, ყველა პირობა იყოს შექმნილი, რათა მსჯავრდებულზე სამართლიანი მიდგომით და პიროვნებისადმი პატივისცემის გრძნობის გამომუშავებით მის ფსიქიკაში გარდატეხა მოხდეს, რაც მისი რესოციალიზაციის რეალური საფუძველი იქნება.[18]

---

[16] ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, თბილისი, 2016, გვ 97

[17] მართლმსაჯულება და კანონი, მზია ლეკვეიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, 2014, გვ. 23

[18] იქვე, გვ. 24

თავი II. სასჯელაღსრულების დაწესებულების მიზანი

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიზანია პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მსჯავრდებულის რესოციალიზაცია. აღნიშნულ ჩანაწერს ვხვდებით პატიმრობის კოდექსის პირველ მუხლში. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს რესოციალიზაციას, როგორც სასჯელის მიზნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების ორი ძირითადი მიზნიდან, რესოციალიზაცია მეორე მიზნის მიღწევის წინაპირობა და მეტიც ერთგვარი გარანტორია.

„სასჯელაღსრულების დაწესებულების რეჟიმები ისე უნდა იქნეს რეგლამენტირებული, რომ მან რეალურად უზრუნველყოს სასჯელის მიზნის მიღწევა.“[19]

2.1 საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა

ციხის პირობებში ახალი დანაშაულის თავიდან აცილება შეიძლება იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალცალკე. მოკლევადიანი პერსპექტივით ახალი დანაშაულის თავიდან აცილება შესაძლებელია მიღწეულ იქნას დამნაშავე პირის საზოგადოებისგან იზოლირებით - მისთვის თავისუფლების აღკვეთის მისჯით. ეს რა თქმა უნდა გულისხმობს საკითხის ვიწრო გაგებას და ის პრობლემის მოგვარების მხოლოდ დროებითი საშუალებაა და ხანგრძლივი დროის პერიოდში მას პერსპექტივა არ აქვს.

გრძელვადიანი პერსპექტივით ახალი დანაშაულის თავიდან აცილება გაგებულ უნდა იქნას, როგორც კანონმდებლის სურვილი ციხის გარეთ და შიგნით მასჯავრდებულის მიმართ ისეთი სარეაბილიტაციო ღონისძიებების,

[19] ჟურნალი „სამართალი“ N11-12, კახა კობერიძე „სასჯელაღსრულების დაწესებულების რეჟიმის მნიშნელობა მსჯავრდებულების რესოციალიზაციისათვის“ 2002 წ. თბილისი, გვ. 86

პროგრამების განხორციელებას, რაც მსჯავრდებულის რესოციალიზაციას ანუ მასში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობრივი ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.[20] ანუ ისე გარდაქმნის მას რომ თავისუფლების პირობებში აღარ მოუნდება დანაშაულის ჩადენა და საზოგადოებას დაუბრუნდება როგორც პასუხისმგებლობით აღსავსე პიროვნება, რომელიც ანგარიშვალდებულია სოციუმის წინაშე - იყოს კანონმორჩილი მოქალაქე და შესაბამისად უსაფრთხო იმ საზოგადოებისთვის, რომლის წევრიც თავადაა.

ახალი დანაშაულის თავიდან აცილება პირდაპირ არის მიმართული საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვასთან. მსჯავრდებულის იზოლირებით შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ დროებით იქნება მიღწეული საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, ხოლო თუ აღნიშნული მსჯავრდებული რესოციალიზირებული დაუბრუნდება საზოგადოებას, მაშინ ის უსაფრთხო იქნება სოციუმისთვის და შესაბამისად, მიღწეულ იქნება გრძელვადიანი პერსპექტივით ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

2.2 მსჯავრდებულის რესოციალიზაცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს პატიმრობის კოდექსის 116-ე მუხლი განმარტავს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას - ანუ მასში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობრივი ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას. სწორედ ეს არის სახელმწიფოს ვალდებულება. მისი პოლიტიკა მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის კუთხით, უნდა ეფუძნებოდეს სწორედ მოცემული ნორმის შინაარს. თუმცა აღნიშნული როგორ ხორციელდება პრაქტიკაში და რა რესურსი აქვს სახელმწიფოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში რესოციალიზაციის მიზნის მისაღწევად ცალკე საკითხია და საკმაოდ პრობლემატურიც ქართული პენიტენციური დაწესებულების რეალობიდან გამომდინარე.

ამას ემატება კიდევ ის, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების პერიოდში ხშირია ოჯახის დანგრევის

[20] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ 10

მაჩვენებელი. მსჯავრდებულთა უმრავლესობითვის სწორედ ოჯახის დანგრევა წარმოადგენს დიდი განცდის საფუძველს, რაც თავის მხრივ ხელის შემშლელი ფაქტორია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის, რადგან ერთის მხრივ, ამას შეიძლება გამოიწვიოს მსჯავრდებულის გაბოროტება, ხოლო მეორეს მხრივ, მას აღარ აქვს მიზეზი თუ რისთვის ღირს რესოცილიზირებული დაუბრუნდეს საზოგადოებას ასე ვთქვათ, მისთვის სულერთი ხდება დაწესებულების დატოვების შემდეგ როგორ წარიმართება მისი ცხოვრება ოჯახის გარეშე.

,,მსჯავრდებული რესოციალიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის თვალსაზრისით. რესოციალიზირებული მსჯავრდებული საფრთხეს აღარ შეუქმნის საზოგადოებას და აღარ დაარღვევს ქცევის აღიარებულ ნორმებს. საზოგადოებას დიდი ინტერესი აქვს იმის, რომ მსჯავრდებული იქნას რესოციალიზირებული.“[21] ეს ინტერესი მეტწილად განპირობებულია იმით, რომ თავად საზოგადოებამ იგრძნოს თავი უსაფრთხოდ. მას მოლოდინი აქვს სახელმწიფოს მიმართ, რომ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან გათავისუფლებული პირი საზოგადოებას რესოციალიზირებული დაუბრუნდება. მეტიც, შეიძლება იქვას, რომ საზოგადოება ავალდებულებს სახელმწიფოს თავისუფლების აღკვეთის პირობებში უზრუნველყოს მსჯავრდებულის რესოციალიზაცია.

რესოციალიზირებული მსჯავრდებული მნიშვნელოვანია როგორც საზოგადოებისთვის ასევე სახელმწიფოსთვისაც. ,,სახელმწიფოსთვის რესოციალიზირებული მსჯავრდებული მნიშვნელოვანია შემდეგი ფაქტორების გამო:

აღარ ჩაიდენს დანაშაულს და საზოგადოებაში არ დაამკვიდრებს დაუცველობის გრძნობას რაც მძიმედ აისახება ქვეყნის საერთაშორისო სტატუსზე და შესაბამისად ეკონომიკურ განვითარებაზე.

გარდა ამისა, არარესოციალიზირებული მსჯავრდებული არის სახელმწიფოსვის ადამიანური რესურსის დაკარგვა.

არარესოციალიზირებული მსჯავრდებული განმეორებით ჩაიდენს დანაშაულს, რაც სახელმწიფოს აიძულებს უფრო მეტი ეკონომიკური ხარჯი გასწიოს ციხის პირობებში მის შესანახად.

[21] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 67

არარესოციალიზირებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა თუ გაიზარდა და ხშირი გახდება მათ მიერ განმეორებით დანაშაულის ჩადენა. სახელმწიფო იძულებული იქნება ლიბერალურიდან გადავიდეს მკაცრ კრიმინალურ პოლიტიკაზე, რისთვისაც სახელმწიფოს უფრო მეტი ეკონომიკური და ადამიანური რესურსის მობილიზება მოუხდება."[22]

,,წარმატებული რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესი დაწყებულად უნდა ჩაითვალოს პირის დაპატიმრებისთანავე და შესაბამისად, მათ შორის უსაფრთხოების და სხვა პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამან გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს მისი განთავსების ადგილის განსაზღვრაში. სამწუხაროდ, ზოგიერთ ქვეყანაში ციხეებში განთავსება განისაზღვრება გადატვირთულობის დონის და არა ინდივიდუალური საჭიროებების და უსაფრთხოების შეფასების მიხედვით. პატიმრების განთავსება მათი სახლიდან და ოჯახიდან მოშორებით არასოდეს არ უნდა იქნას გამოყენებული როგორც სასჯელის ფორმა."[23]

როცა მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე ვსაუბრობთ, მნიშვნელოვანია ნელსონ მანდელას წესების განხილვა, რომელიც პატიმრებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტებს ეხება. აღნიშნული წესები შეიცავს ხუთ ძირითად პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს წესების მთელ კრებულს, მოკლედ განვიხილოთ ეს ძირითადი პრინციპები, თუ რამდენადაა მათი დაცვა შესაძლებელი დახურული ტიპის დაწესებულებაში, რადგან ის მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია.

,,წესი1 - ყველა პატიმრის მოპყრობა უნდა ეფუძნებოდეს მათი, როგორც ადამიანის, თანდაყოლილი ღირსებისა და ფასეულობის პატივისცემას. დაუშვებელია, რომელიმე პატიმარი დაექვემდებაროს და ნებისმიერი პატიმარი უნდა იყოს დაცული წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა ან დასჯისაგან, რომელსაც არ შეიძლება ქონდეს გამართლება არცერთ შემთხვევაში. აუცილებელია პატიმართა მიმართ პატივისცემით მოპყრობა, მათი როგორც ადამიანების თანდაყოლილი ღირსებისა და ფასეულობების გათვალისწინებით/პატივისცემით.

წესი 2 - აუცილებელია, მოცემული წესების მიუკერძოებლად გამოყენება. დაუშვებელია, დისკრიმინაცია რასობრივი, კანის ფერის, სქესის, ენის,

[22] მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 67
[23] სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, თბილისი, 2018, www.osce.ge გვ. 28

რელიგიური, პოლიტიკური თუ სხვა მოსაზრებების, ეროვნული და სოციალური წარმომავლობის, ოჯახური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის ან სოციალური სტატუსის საფუძველზე. დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, აუცილებელია, ციხის ადმინისტრაციებმა მხედველობაში მიიღონ პატიმართა, განსაკუთრებით კი ციხეებში მყოფი ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების, ინდივიდუალური საჭიროებები. სპეციალური საჭიროებების მქონე პატიმართა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით მიღებული ზომები არ უნდა ჩაითვალოს დისკრიმინაციულად.

წესი 3 - პატიმრობა და სხვა ღონისძიებები, რომლებიც სამართალდამრღვევს გარე სამყაროსაგან იზოლირებულ პირობებში აქცევს, მტკივნეულია თუნდაც იმიტომ, რომ მას ართმევს თვითგამორკვევის უფლებას თავისუფლების აღკვეთის ფორმით. ამიტომ, ციხის სისტემამ არ უნდა გაამწვავოს აღნიშნული მდგომარეობიდან გამომდინარე სატანჯველი, გარდა იმ ცალკეული შემთხვევებისა, როდესაც განცალკევება გამართლებულია, ან, როდესაც ამას მოითხოვს დისციპლინის დაცვის აუცილებლობა.

წესი 4 - სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის, ან ნებისმიერი მსგავსი ღონისძიების დანიშვნის მიზანი, საბოლოო ჯამში, არის საზოგადოების დაცვა დანაშაულისაგან და რეციდივის შემცირება. ამ მიზნის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ციხეში გატარებული პერიოდი შეძლებისდაგვარად, უზრუნველყოფს გათავისუფლების შემდეგ ამ პირთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას, ისე რომ მათ შეძლონ კანონმორჩილი ცხოვრება და საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა. 2. ამისათვის დაწესებულებამ და სხვა უფლებამოსილმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ განათლება, პროფესიული სწავლება და მუშაობა, სხვა ხელმისაწვდომი სათანადო სახის აღმზრდელობითი, მორალური, სულიერი, სოციალური და ჯანდაცვასთან დაკავშირებული და სპორტული ხასიათის დახმარების სახეები. აუცილებელია, რომ ყველა მსგავსი პროგრამა, აქტივობა და მომსახურება პატიმარს მიეწოდოს მისი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

წესი 5 - საპატიმრო დაწესებულებაში დადგენილმა რეჟიმმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს ის განსხვავება თავისუფალ და პატიმრობის პირობებში ცხოვრებას შორის, რომელიც თრგუნავს პატიმარში პასუხისმგებლობის გრძნობას და ადამიანურ ღირსებას.”[24]

[24] სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, თბილისი, 2018, www.osce.ge გვ. 6-7

სასჯელი, როგორც ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სოციალური ზემოქმედების სახე, აუცილებლად უნდა შეიცავდეს სოციალური რეაბილიტაციის ელემენტებს, რადგანაც ამის გარეშე ის დამნაშავეს გადააქცევს ძალადობის ობიექტად.[25]

აქვე უნდა აღინიშნოს თუ რაოდენ დიდია საზოგადოებრივი აზრის გავლენა სასჯელის აღსრულების ეფექტურობაზე, რადგანაც მასზე არის დამოკიდებული გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის ბედი. ,,არაფერს წარმოადგენს სოციალური ზემოქმედების სახით ჩატარებული მუშაობა, თუ პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებული მოხვდება მისდამი ,,მტრულად" განწყობილ, არასასურველ გარემოში, რომელიც უბიძგებს მას ახალი დანაშაულის ჩადენისაკენ."[26]

ამის გათვალისწინებით, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობისა და მათი გათავისუფლების შემდგომ - სასჯელის მოხდის პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებული დადებითი შედეგის შესანარჩუნებლად და მეტიც - გასამყარებლად, ქვეყანაში უნდა დაინერგოს აღნიშნულზე კონტროლის მექანიზმი და ეს კონტროლი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებული პირების ქცევაზე კონტროლს, არამედ უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები მათი სოციალური რეაბილიტაციის გასამყარებლად. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს გათავისუფლების შემდეგ მათი დასაქმების ხელშეწყობა, აგრეთვე მათი ჩართვა ისეთ პროგრამებში, რომლებიც ხელს შეუწყობს პიროვნების თვითშეფასების ამაღლებას, თვითრეალიზაციის გაუმჯობესებას და მოტივირებას გააგრძელოს ცხოვრება, როგორც საზოგადოების სრულფასოვანმა წევრმა და შესაბამისად, მის წინაშე ანგარიშვალდებულმა ინდივიდმა. აქაც რა თქმა უნდა, თავად საზოგადოებას ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა - მიიღოს ეს პიროვნება საკუთარ სოციუმში და არ მოახდინოს მისი დისკრიმინაცია აღნიშნული (ნასამართლობა) ნიშნით.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რომ არ მოხდეს მსჯავრდებულთა დისკრიმინაცია ნასამართლობის ნიშნით. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად - ,,ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების,

[25] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/4/592, 2015

[26] ომარ ფერტენაძე, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა, ბათუმი, 2009, გვ. 164

სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.” ქართული რეალობიდან გამომდინარე ნასამართლევი პირები ნამდვილად დგანან აღნიშნული საფრთხის წინაშე. ისინი განსაკუთრებით დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან დასაქმების კუთხით, რადგან არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო სექტორიც ითხოვს ნასამართლობის ცნობას. შესაბამისად, ისინი დისკრიმინაციის მსხვერპლნი ხდებიან აღნიშნული ნიშნით. ნასამართლობა არ შეიძლება მთელი ცხოვრება მძიმე ტვირთად აწვეს ადამიანს.

თავი III. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით („ზ“- ვადიანი თავისუფლების აღკვეთა; „თ“ უვადო თავისუფლების აღკვეთა) გათვალისწინებული სასჯელის აღსრულების დაწესებულება.

,,სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა ყოფაზე ზრუნვა მთლიანად სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია საპატიმროში მყოფი თავისუფლებააღკვეთილი პირის სასჯელის მოხდა მოხდეს მისი ღირსებისა და პატივის შელახვის გარეშე. რამდენად მძიმე დანაშაულიც არ უნდა ჰქონდეს მას ჩადენილი და რამდენად დიდი სასჯელიც არ უნდა ჰქონდეს მისჯილი, მისი უფლებების დაცვის გარანტი პირველ რიგში სახელმწიფოა, ხოლო საზოგადოება მუდმივ მონიტორინგს უნდა ახორციელებდეს დახურულ ინსტიტუციაში მყოფ პირთა მდგომარეობაზე.“[27]

სანამ კონკრეტულად თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების ტიპების ზოგად მიმოხილვაზე გადავალ, მინდა ავღნიშნო თუ რა მდგომარეობაა აღნიშნული მიმართულებით საქართველოში და როგორია ქვეყნის პოლიტიკა დაწესებულების ტიპების განსაზღვრის შესახებ.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა განვიხილოთ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №106 ,,საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“. აღნიშნული ბრძანების გაცნობისთავანე თვალსაჩინოა სახელმწიფოს მიდგომა დაწესებულებების მიმართ. კერძოდ, საქართველოში მოქმედი სასჯელაღსრულების დაწესებულებების აბსოლუტური უმრავლესობა დახურული ტიპისაა.

მეტიც, მაშინაც კი, როცა ვხედავთ რომ დაწესებულება ნახევრად ღია ტიპისაა, რა თქმა უნდა, ივარაუდება რომ იგი ნახევრად დახურულია. უბრალოდ

[27] პატიმრობის პირობები, თავისუფლება აღკვეთილი პირების ჯანმრთელობის დაცვის შიდასახელმწიფოებრივი გარანტიები და საერთაშორისო სტანდარტები, თბილისი, 2008, გვ. 6

შეიძლება ითქვას, რომ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულება უფრო ჰუმანურ და ლიბერალურ მიდგომას უსვამს ხაზს და შეიძლება ვთვათ, რომ თვალის ასახვევად გამოიყენება.

3.1 თავისუფლების აკვეთის დაწესებულებების ტიპების ზოგადი მიმოხილვა

დღესდღეობით არის 15 სხვადასხვა პენიტენციური დაწესებულება, მათ შორის, 2 სამკურნალო, 1 არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო და 1 ქალთა სპეციალური დაწესებულება. დაწესებულებების უმრავლესობა წარმოადგენს შერეული ტიპის დაწესებულებებს, რომლებიც განლაგებულია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. უმეტესობა - 12 დაწესებულება განთავსებულია აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო 3 დაწესებულება დასავლეთ საქართველოში.

ზოგადად, ,,თავისუფლების აღკვეთის რეჟიმი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც სამართლებრივი ნორმებით დარეგულირებული აღნიშნული სასჯელის მოხდისა და აღსრულების წესი, რომელიც აისახება სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაციის საქმიანობაში და მსჯავრდებულთა კანონზომიერ ყოფაქცევაში, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს სასჯელის წინაშე დასახული მიზნების ეფექტურ მიღწევას.“[28]

საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებია:

ა)გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

ბ) დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

გ) ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

დ) დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

ე) განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება;

ვ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება;

[28] ომარ ფერტენაძე, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა, ბათუმი, 2009, გვ. 64

ზ) ქალთა სპეციალური დაწესებულება.

საქართველოს პატიმრობის კოდექსში დეტალურად არის აღწერილი თითოეული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დამახასიათებელი ნიშნები, აგრეთვე მნიშვნელოვანი გარემოებები, რის გამოც განსხვავდება თითოეული დაწესებულება სხვა დანარჩენებისგან.

ა) გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. აღნიშნულ დაწესებულებაში მსჯავრდებულები განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი ამ კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად. მსჯავრდებულებს შეუძლიათ დამოუკიდებლად, დადგენილი წესით გადაადგილდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და უფლება აქვთ სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირობებითა და ვადით დატოვონ დაწესებულების ტერიტორია.

ბ. დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა, მსჯავრდებულები განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც გათავისუფლებისთვის მომზადების აღკვეთის დაწესებულების მსგავსად შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. მსჯავრდებულებს შეუძლიათ დამოუკიდებლად, დადგენილი წესით გადაადგილდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე.

გ. ნახევრად ღია ტიპის დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. აღნიშნულ დაწესებულებაშიც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.

მსჯავრდებულებს კი შეუძლიათ დამოუკიდებლად, გადაადგილდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე.

დ. რაც შეეხება დაზურული ტიპის საზოგადოება ეს არის განსაკუთრებულად დაცული, როგორც შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, ისე სასიგნალიზაციო სისტემით აღჭურვილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. მსჯავრდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი.

ე. განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც მიღებულია უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები და უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. მსჯავრდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათზე მუდმივად ხორციელდება ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. აუდიოსაშუალებებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ვ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შესაბამისად წარმოადგენს არასრულწლოვანთა განსაკუთრებული საჭიროებების შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და პერსონალით უზრუნველყოფილ, განსაკუთრებულად დაცულ დაწესებულებას, რომელშიც ათავსებენ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ არასრულწლოვნებს და სადაც უზრუნველყოფილია მათი მუდმივი მეთვალყურეობა. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვანთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად ისინი უნდა განთავსდნენ ასაკობრივი ჯგუფის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ფიზიკური და გონებრივი განვითარების, აგრეთვე არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე სხვა მახასიათებლების მიხედვით.

ზ) ქალთა სპეციალური დაწესებულება არის განსაკუთრებულად დაცული, შეიარაღებული დაცვით უზრუნველყოფილი, სპეციალური დამცავი ზღუდეებით გარშემორტყმული დაწესებულება, რომელშიც

უზრუნველყოფილია მსჯავრდებულთა მუდმივი მეთვალყურეობა. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში განთავსებული არიან ქალი მსჯავრდებულები, მათ შორის, არასრულწლოვნები. ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში მსჯავრდებულები, როგორც წესი, განთავსებული არიან საერთო საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი. ქალთა სპეციალური დაწესებულება გათანაბრებულია ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასთან, გარდა ამ კოდექსით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3.2 დახურული ტიპის დაწესებულება და მისი რეჟიმი

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 64-ე მუხლის შესაბამისად დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, სასჯელს იხდის: პირი, რომელიც პირველად არის მსჯავრდებული განზრახი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, სასამართლოს მიერ განესაზღვრა 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა; განზრახი დანაშაულისათვის არაერთგზის ნასამართლევი პირი, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი და ადრე ნასამართლევი პირი, რომლებსაც სასჯელის სახით განსაზღვრული ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე მსჯავრდებული, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით გადმოყვანილია სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან.

დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ააგრეთვე შეიძლება განთავსდნენ სხვა მსჯავრდებულები რისკის ფაქტორის გათვალისწინებით. მსჯავრდებული, რომელიც სასჯელს იხდის დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, თავსდება საკანში. მას უფლება აქვს:

ა) დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში კვების პროდუქტების, პირველადი მოხმარებისა და სხვა საგნების შესაძენად თავის პირად ანგარიშზე არსებული თანხა ყოველთვიურად დახარჯოს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში;

ბ) 1 თვის განმავლობაში ჰქონდეს 1 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 1 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;

გ) 1 თვის განმავლობაში საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი, თითოეული – არა უმეტეს 15 წუთისა;

დ) 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი.

სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორი აგრეთვე უფლებამოსილია მსჯავრდებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების კანონით განსაზღვრული წახალისების ფორმები საკუთარი შეხედულებისამებრ.

საქართველოს პატიმრობის კოდექსის შესაბამისად არსებობს წახალისების შემდეგი ფორმები ა) მადლობის გამოცხადება; ბ) დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა; გ) დამატებითი სატელეფონო საუბარი; დ) პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობა; ე) დამატებითი ხანმოკლე პაემანი; ვ) დამატებითი ხანგრძლივი პაემანი; ზ) პერსონალური კომპიუტერით სარგებლობა; თ) დამატებითი ვიდეოპაემანი; ი) პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა; კ) პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით იმ პირთან ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა, რომელიც ამ კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული არ არის.

პატიმრობის კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად პატიმრობის დაწესებულებაში, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა ჯგუფს დაწესებულების დირექტორის თანხმობით შეიძლება მიეცეს პირადი რადიომიმღების ან/და ტელევიზორის შეძენის უფლება, თუ მათი გამოყენებით არ ირღვევა ამ დაწესებულების დებულების მოთხოვნები და სხვა ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა სიმშვიდე.

ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა ან ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა ჯგუფმა აღნიშნული ტექნიკა შეიძლება შეიძინოს საკუთარი ხარჯით, დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში. დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში არსებული პროდუქციის ღირებულება უნდა შეესაბამებოდეს მის საბაზრო ღირებულებას, რაც მოწმდება მინისტრის მიერ დადგენილი წესით.

,,თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის აღსრულება სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში დადგენილი რეჟიმის მოთხოვნების რეალიზაციით ხორციელდება. იმაზე, თუ რამდენადაა სრულყოფილი და მიზანშეწონილი, მოწესრიგებული და სტაბილური ის, გარკვეულწილად დამოკიდებულია აღნიშნული სასჯელის აღსრულების ეფექტიანობა და შედეგიანობა. რეჟიმი არა მხოლოდ თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არამედ მისი მოხდის წესსაც ასახიერებს, რადგანაც ის კანონით არის მკაცრად რეგლამენტირებული. შეიძლება ითქვას რომ მისი წესები ძირითად რგოლს შეადგენენ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მართლწესრიგის უწრუნველსაყოფად.“[29] რეჟიმის დაცვაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მკაცრად რეგლამენტირებული შინაგანაწესის ყველა ელემენტის თანმიმდევრულ რეალიზაციას.

,,რეჟიმი კი თავის მხრივ არის სამართლებრივი ნორმებით დარეგულირებული სასჯელის მოხდისა და აღსრულების წესი, რომელიც აისახება სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაციის საქმიანობაში და მსჯავრდებულთა კანონზომიერ ყოფაქცევაში, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს სასჯელის აღსრულების წინაშე დასახული მიზნების ეფექტურ მიღწევას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასჯელის აღსრულების ეფექტურობა შეიძლება განიმარტოს, როგორც მის წინაშე დასახული მიზნების ხარისხიანი მიღწევა, რაც საბოლოო ჯამში გამოიხატება მსჯავრდებულის რესოციალიზაციაში.”[30] აღსანიშნავია, რომ რეჟიმი მიზნად არ უნდა ისახავდეს მსჯავრდებულის დასჯას, არამედ იგი უნდა ემსახურებოდეს მსჯავრდებულის სოციალურ რეაბილიტაციას, მის სოციალურ-ფსიქოლოგიურ გარდაქმნას.

ევროპის საბჭო მინისტრთა კომიტეტი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2-ის ,,წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით“ მიხედვით ნებისმიერი პატიმრისთვის განკუთვნილი რეჟიმი უნდა შეიცავდეს ღონისძიებების ბალანსირებულ პროგრამას. ეს რეჟიმი

[29] ომარ ფერტენაძე, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა, ბათუმი, 2009, გვ 62
[30] იხ. იქვე, გვ. 178

საშუალებას უნდა აძლევდეს ყველა პატიმარს ყოველდღიურად თავიანთი საკნების გარეთ გაატარონ რაც შეიძლება მეტი დრო, რაც საჭიროა ადამიანური და სოციალური ურთიერთობების ადექვატური დონის შესანარჩუნებლად. [31]

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მსჯავრდებული დახურული ტიპის დაწესებულებაში სარგებლობს ყოველდღიურად არანაკლებ 1 საათის სუფთა ჰაერზე ყოფნის უფლებით (გასეირნების უფლებით).[32] დანარჩენ დროს კი იგი საკუთარ საკანში ატარებს. ასევე საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ბრალდებულები/მსჯავრდებულები იკვებებიან დღის განრიგით დადგენილ საათებში საკნებში, ანუ ისინი თავიანთი საკნების გარეთ რაც შეიძლება მეტ დროს, რაც საჭიროა ადამიანური და სოციალური ურთიერთობების ადექვატური დონის შესანარჩუნებლად ვერ ატარებენ, რაც თრგუნავს მათ სოციალურ აქტივობას და მეტიც იწვევს სოციალურ გაუცხოვებას.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1989 წლის 13 ოქტომბრის რეკომენდაცია R (89) 12 „ციხეებში განათლების შესახებ“ განათლებას მიიჩნევს ციხეების ჰუმანიზაციისა და მათში პირობების გაუმჯობესების საშუალებად, ასევე პატიმრის საზოგადოებაში დაბრუნების გაადვილების გზად. აღნიშნული რეკომენდაციის მიხედვით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი განათლების სისტემა უნდა მოიცავდეს საშუალო და პროფესიულ განათლებას, არტისტულ და კულტურულ ღონისძიებებს, ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს, სამოქალაქო განათლებასა და ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობას. სახელმწიფომ ასევე უნდა იზრუნოს, რომ გათავისუფლების შემდეგ პირს საშუალება უნდა მიეცეს, გააგრძელოს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში დაწყებული განათლება.[33]

ევროპული ციხის წესების მიხედვით ყოველი სასჯელაღსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.

---

[31] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით

[32] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №117 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, თბილისი, 2015

[33] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1989 წლის 13 ოქტომბრის რეკომენდაცია R (89) 12

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მსჯავრდებულებს პენიტენციურ დაწესებულებებში არ აქვთ განათლების მიღების შესაძლებლობა, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე რეალობაში სავსებით შესაძლებელია განათლების დისდანციურად მიღება. (გამოცდების ელექტრონულად ჩაბარების შესაძლებლობა).

„იმისათვის, რომ სულ მცირე დავიცვათ პატიმრები გონებრივი დეგრადაციისგან, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში, ავამაღლოთ მათი განათლებისა და თვითშეგნების დონე, საჭიროა, რომ მათ ჰქონდეთ სხვადასხვა აქტივობაში ჩართვის შესაძლებლობა, ისეთში როგორიცაა, მაგალითად წიგნის კითხვა, სხვადასხვა სასწავლო კურსების გავლა, მუსიკალურ და რეკრეაციულ პროგრამებში მონაწილეობის საშუალება და ა.შ. ანუ ციხეში გასატარებელი დრო უნდა მოხმარდეს მათთვის ცოდნის მიცემას და კულტურულ ღონისძიებებში მათი მონაწილეობის ხელშეწყობას.“[34]

„პატიმრების სასარგებლო შრომით თუ საქმიანობით დაკავება განსაკუთრებულ რულს ასრულებს ციხის ,,დინამიკურ უსაფრთხოებაში“, გარდა ამისა, კონკრეტული მუშაობის პროცესში მსჯავრდებული გარკვეულ უნარ-ჩვევებსაც უნდა იძენდეს, რასაც ციხიდან განთავისუფლების შემდეგ გამოიყენებს.“[35]

3.3 კონტაქტი გარე სამყაროსთან

საქართველოს პატიმრობის კოდექსის შესაბამისად მსჯავრდებულებს უფლება აქვთ ჰქონდეთ სხვადასხვა სახის კონტაქტი გარე სამყაროსთან. გარე სამყაროსთან კავშირი მსჯავრდებულებისთვის გამოიხატება: ახლო ნათესავებთან შეხვედრით (პაემნით), სატელეფონო საუბრებით და მიმოწერით; ამანათებისა და ფულადი გზავნილების მიღება-გაგზავნით; პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით ინფორმაციის მიღებით. მსჯავრდებულს აგრეთვე უფლება აქვს განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით დროებით დატოვოს პენიტენციური დაწესებულება.

---

[34] ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, 2005, გვ. 121

[35] იხ. იქვე გვ. 121

დაპატიმრების ფაქტი არ აუქმებს ურთიერთობებისა და სხვა ადამიანებთან კონტაქტების საერთო უფლებებს. პატიმრობის პირობებში საჭირო ხდება ამ უფლებების გარკვეული შეზღუდვა. თუმცა, საკამათოა ის საკითხი, თუ რამდენად შორს უნდა მიდიოდეს ეს შეზღუდვები.[36]

პატიმრის ეს უფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-12 მუხლით, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლების შესახებ პაქტის 23-ე მუხლით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით.[37]

ქართული კანონმდებლობით აკრძალულია ბრალდებულის /მსჯავრდებულის სრული იზოლაცია. მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს თავის ახლო ნათესავებთან ხანმოკლე პაემნის უფლება. აღნიშნულ პირებთან შეხვედრაზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორის თანხმობა ან მოტივირებული უარი მსჯავრდებულს წერილობით ეცნობება. მსჯავრდებულთან შეხვედრა ხორციელდება მისი თანხმობის შემთხვევაში. ხანმოკლე პაემნის მოთხოვნის თაობაზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორს ინფორმაცია მიეწოდება წერილობით. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირი პენიტენციური დაწესებულების დირექტორს წარუდგენს ახლო ნათესაობის დამადასტურებელ დოკუმენტს. ხანმოკლე პაემანი ეწყობა ერთიდან ორ საათამდე ვადით. ხანმოკლე პაემანი მიმდინარეობს პენიტენციური დაწესებულების წარმომადგენლის ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობით, მაგრამ მოსმენის გარეშე. ამის თაობაზე ბრალდებულის/მსჯავრდებულის და მასთან ხანმოკლე პაემნის მსურველი პირის წინასწარ გაფრთხილება სავალდებულოა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა. მსჯავრდებულს აგრეთვე შესაძლოა მიეცეს ხანგრძლივი პაემნის უფლება, ხოლო მისი მოთხოვნის შესაბამისად შესაძლოა ხანმოკლე პაემანი შეეცვალოს სატელეფონო საუბრით.

პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულს, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისა და ამ კოდექსის 50-ე მუხლის პირველი

---

[36] პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ეფექტური გამოყენებისათვის, თბილისი, 2000, გვ. 113

[37] პატიმრობის პირობები, თავისუფლება აღკვეთილი პირების ჯანმრთელობის დაცვის შიდასახელმწიფოებრივი გარანტიები და საერთაშორისო სტანდარტები, რედაქტორი მ. კვაჭაძე თბილისი, 2008, გვ. 20

ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მსჯავრდებულისა, უფლება აქვს, ისარგებლოს ვიდეოპაემნით (პირდაპირი ხმოვანი და ვიზუალური ტელეხიდით) ნებისმიერ პირთან. აღნიშნული უფლება შესაძლოა შეიზღუდოს დისციპლინური სახდელის მოხდის, დისციპლინური პატიმრობის ან პენიტენციურ დაწესებულებაში განსაკუთრებული პირობების შემოღებისა და კრიზისული ვითარების პერიოდში.

რაც შეეხება ხანგრძლივ პაემანს, ეს არის მსჯავრდებულების უფლება იცხოვროს განსაზღვრულ პირებთან ერთად თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, მსჯავრდებულის ან ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირის ხარჯით, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების წარმომადგენლის დაუსწრებლად. ხანგრძლივი პაემნის საფასური ძირითადად ხმარდება მისი მიზნების განხორციელებასა და ფუნქციების შესრულებას. ხანგრძლივი პაემანი გრძელდება არაუმეტეს 23 საათისა. მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე, დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობითა და სამსახურის გენერალური დირექტორის თანხმობით კუთვნილი ხანგრძლივი პაემანი წელიწადში ერთხელ შეიძლება გაუგრძელდეს არაუმეტეს 47 საათამდე.

ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევა:

ა) საკარანტინო რეჟიმში მყოფ მსჯავრდებულს;

ბ) მსჯავრდებულს, რომელსაც შეფარდებული აქვს დისციპლინური პატიმრობა ან მოთავსებულია სამარტოო საკანში.

პატიმრობის კოდექსში განსაზღვრულია აგრეთვე საოჯახო პაემანის წესი, რომელიც არის ქალი მსჯავრდებულის ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრულ პირებთან შეხვედრა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტერიტორიაზე, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში.

ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს ამ კოდექსით დადგენილი წესით სატელეფონო საუბრის უფლება. პენიტენციურ დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შორის სატელეფონო საუბარი აკრძალულია. სატელეფონო საუბარი ხორციელდება ბრალდებულის/ მსჯავრდებულის ხარჯითა და პენიტენციური დაწესებულების კონტროლით. ბრალდებულს/ მსჯავრდებულს უფლება აქვს, მიიღოს ან გაუგზავნოს ამანათი და ფულადი

გზავნილი უნაღდო ანგარიშსწორებით ახლო ნათესავს, ხოლო პენიტენციური დაწესებულების დირექტორის ნებართვით – სხვა პირს. მიღებული ფულადი გზავნილი ბრალდებულს/მსჯავრდებულს ნაღდი ფულის სახით არ გადაეცემა და გამომგზავნს უბრუნდება.

ბრალდებულს/ მსჯავრდებულს აქვს პრესის გაცნობის უფლება. პენიტენციურ დაწესებულებაში, როგორც წესი, ხდება რადიო- და ტელეტრანსლაცია. პენიტენციურ დაწესებულებაში, გარდა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისა, შესაძლებელია აგრეთვე ელექტრონული სარეაბილიტაციო საგანმანათლებლო პროგრამით სარგებლობა.

პატიმრობის დაწესებულებაში, დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ ბრალდებულს/მსჯავრდებულს ან ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა ჯგუფს დაწესებულების დირექტორის თანხმობით შეიძლება მიეცეს პირადი რადიომიმღების ან/და ტელევიზორის შეძენის უფლება, თუ მათი გამოყენებით არ ირღვევა ამ დაწესებულების დებულების მოთხოვნები და სხვა ბრალდებულთა/ მსჯავრდებულთა სიმშვიდე.

სამსახურის გენერალურმა დირექტორმა მსჯავრდებულს შეიძლება მისცეს ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების უფლება:

ა) თუ მიღებულია სარწმუნო ცნობა მსჯავრდებულის ახლო ნათესავის გარდაცვალების ან სიცოცხლისათვის საშიში ავადმყოფობის თაობაზე;

ბ) სოციალური აქტივობის განსახორციელებლად;

გ) სხვა განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით.

განსაკუთრებულ, პირად გარემოებებთან დაკავშირებით თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების უფლების მისაღებად მსჯავრდებული, მისი დამცველი/კანონიერი წარმომადგენელი ან ახლო ნათესავი შუამდგომლობით მიმართავს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორს. შუამდგომლობაში უნდა მიეთითოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების მოტივი და

ადგილი, სადაც მსჯავრდებულმა უნდა გაატაროს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ყოფნისათვის განკუთვნილი დრო (დანიშნულების ადგილი). თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დროებით დატოვების ვადა შედის სასჯელის მოხდის საერთო ვადაში.

მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში იხდის და რომლის მიმართაც არ მოქმედებს დისციპლინური სახდელი ან რომელსაც შეფარდებული არ აქვს დისციპლინური პატიმრობა, უფლება აქვს, წელიწადში ორჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. ორსულ ქალს და 3 წლამდე ბავშვის დედას უფლება აქვთ, წელიწადში სამჯერ ისარგებლონ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.

,,პატიმრის რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის პროცესში გარე სამყაროსთან კონტაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ოჯახთან, მეგობრებთან და საზოგადოებასთან შინაარსიანი ურთიერთობა ეხმარება ინდივიდებს წარმოიდგინონ მათი ცხოვრება გათავისუფლების შემდეგ და ეხმარება მათ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებაში. ეს შესაძლებელია გახდეს ციხეში პატიმრების კარგი ქცევის არსებითი მოტივატორი და შეუძლია შეამციროს განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი. გათავისუფლების ვადის მოახლოვების დროისთვის ოჯახის ვიზიტებს შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი ითამაშონ პატიმრის და მათი ოჯახების მიერ გათავისუფლების შემდგომი გეგმების შედგენაში. ოჯახთან და მეგობრობასთან რეგულარული კონტაქტები ასევე ახსენებს პატიმრებს ციხის გარეთ არსებულ პასუხისმგებლობას და აძლიერებს მათ მზაობას დაიცვან ციხის წესები და პროცედურები. ურთიერთობები საშუალებას აძლევს პატიმრებს მონაწილეობა მიიღონ ოჯახთან და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაკავშირებულ დისკუსიებსა და გადაწყვეტილებებში, რაც ამცირებს მათი იზოლირებულობის ხარისხს და ზრდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი მონაწილეობის ფარგლებს. ეს მნიშვნელოვანია არამხოლოდ ინტერპერსონალური ურთიერთობებისთვის,

არამედ პატიმრების ფსიქოლოგიური კეთილდღეობისთვის. ოჯახის წევრებთან რეგულარული კონტაქტები, როგორც წესი, ამცირებს დაკავების შემდგომ ოჯახის წევრებს შორის კავშირის დაკარგვის რისკს.“[38]

პატიმრის კონტაქტი გარესამყაროსთან განხილული უნდა იყოს როგორც პირის განუყოფელი უფლება და არა როგორც პრივილეგია და შესაბამისად ოჯახის ნახვის უფლების აკრძალვა ან მინიჭება არ უნდა განიხილებოდეს როგორც დასჯა ან წახალისება. [39]დაწესებულებაში მყოფი პირებისთვის ოჯახის ნახვაზე უარის თქმამ, თავისი არსით შეიძლება წარმოშვას სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობა. ვინაიდან პირებს აღკვეთილი აქვთ თავისუფლება, მათ აქვთ ციხის ადმინისტრაციის იმედი ოჯახთან და მეგობრებთან ურთიერთობების შენარჩუნებისა და მხარდაჭერის კუთხით. ციხის ხელმძღვანელმა პირებს ეკისრებათ აღნიშნულის განახორციელების ვალდებულება. შესაბამისად, ხელმძღვანელობა პროაქტიური უნდა იყოს თავის ძალისხმევაში და ყურადღება გაამახვილოს მსგავსი კონტაქტების განვითარებაზე და არა მათ შეზღუდვაზე. გარდა ამისა, ოჯახის წევრების ნახვაზე უარის თქმამ შესაძლოა წარმოშვას ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის რეალური საფრთხე.

,,უდავოა, რომ პატიმრის კონტაქტი საკუთარ ოჯახთან და მეგობრებთან შეიძლება იყოს სარგებლის მომტანი როგორც პირის ფსიქიკური მდგომარეობის, ასევე მისი საერთო კეთილდღეობისთვის. ასეთი კონტაქტი ამცირებს პატიმრის შფოთვას მისი ამჟამინდელი მდგომარეობის და ოჯახის წინ არსებული პასუხისმგებლობის შესახებ. კონტაქტი არის კომფორტისა და სიმშვიდის წყარო, მაგრამ მას ასევე შეუძლია გაათავისუფლოს პატიმრები ნაღველისგან და მისცეს მათ შესაძლებლობა გამოხატონ მათი პრობლემები, შიშები და იმედგაცრუება. გარე სამყაროსთან კონტაქტი აბალანსებს პატიმრობის ნეგატიურ ეფექტებს და ისინი, ვისაც აქვს მსგავსი შესაძლებლობა, სავარაუდოდ უკეთესად გაუმკლავდებიან მათთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შერჩევას ვიდრე ისინი, ვინც უფრო მეტად იზოლირებულია. ამდენად, ციხეების ადმინისტრაციამ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ პატიმრები უფრო ადვილად მართავენ და განიცდიან ფსიქოლოგიურ პრობლემებს, რაც პოტენციურად ამცირებს ძალადობის დონეს. ოჯახთან რეგულარული კაკშირი ასევე ამცირებს

[38] „სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ“, თბილისი, 2018, www.osce.org, გვ 127
[39] პატიმრობის პირობები, თავისუფლება აღკვეთილი პირების ჯანმრთელობის დაცვის შიდასახელმწიფოებრივი გარანტიები და საერთაშორისო სტანდარტები, რედაქტორი მ. კვაჭაძე თბილისი, 2008, გვ. 19

სუიციდის და თვითდაზიანების შემთხვევებს არამარტო იმიტომ, რომ ის მატებს თავდაჯერებულობას, არამედ მნახველებს შეუძლიათ აღმოაჩინონ დეპრესიის ადრეული სიმპტომები და სხვა გამაფრთხილებელი ნიშნები. პატიმრები ასევე ანდობენ მათ ინფორმაციას მათი ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობას შესახებ."[40]

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების პერიოდში ხშირია ოჯახის დანგრევის მაჩვენებელი. მსჯავრდებულთა უმრავლესობითვის სწორედ ოჯახის დანგრევა წარმოადგენს დიდი განცდის საფუძველს.[41] რაც თავის მხრივ ხელის შემშლელი ფაქტორია მსჯავრდებულის რესოციალიზაციისთვის, რადგან ერთის მხრივ, ამას შეიძლება გამოიწვიოს მსჯავრდებულის გაბოროტება, ხოლო მეორეს მხრივ, მას აღარ აქვს მიზეზი თუ რისთვის ღირს რესოცილიზირებული დაუბრუნდეს საზოგადოებას ასე ვთქვათ, მისთვის სულერთი ხდება დაწესებულების დატოვების შემდეგ როგორ წარიმართება მისი ცხოვრება ოჯახის გარეშე.

,,გარე სამყაროსთან კონტაქტი აგრეთვე წარმოადგენს დაცვის გარანტიას წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ. მას შეუძლია არამხოლოდ აღკვეთოს ადამიანის უფლებების დარღვევა, არამედ იძლევა შესაძლებლობას მოხდეს არასათანადო მოპყრობის შეტყობინება და შესაბამისი ნაბიჯების განხორციელება. იმის ცოდნა, რომ პატიმრებს ჰყავთ ხმის გამცემი პირები შეიძლება წარმოადგენდეს წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის ძლიერ შემაკავებელ ფაქტორს. უფრო მეტიც, ციხის მნახველებს შეუძლიათ თავად შენიშნონ არასათანადო მოპყრობის ფიზიკური ნიშნები ან ფსიქოლოგიური სტრესი და ჰკითხონ პატიმრებს მომხდართან დაკავშირებით. მნახველებს შეუძლიათ გააფრთხილონ ხელისუფლების წამომადგენლები არასათანადო მოპყრობის რისკების თაობაზე, ან ურჩიონ პატიმრებს საპასუხო საუკეთესო საშუალებები. ისინი, ვისაც აქვთ ოჯახთან და მეგობრებთან რეგულარული კონტაქტი ნაკლებად მოწყვლადები არიან, ვინაიდან მათ მიეწოდებათ ფიზიკური და მორალური მხარდაჭერა, ვინაიდან მათ იციან, რომ ჰყავთ კომუნიკაციის წყარო, ისინი გრძნობენ და არიან ემოციურად უფრო ძლიერები, რამაც თავისთავად შეიძლება შეამციროს არასათანადო მოპყრობის

[40] სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, გვ. 128

[41] ომარ ფერტენაძე, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა, ბათუმი, 2009

რისკი. თუნდაც მათ არ შეეძლოთ ციხის ადმინისტრაციისთვის საჩივრის წარდგენა, მათ შეუძლიათ გაანდონ მომხდარის შესახებ მათ, ვისაც ენდობიან."[42]

სხვადასხვა ქვეყანასა და დაკავების ადგილებში არსებობს ციხის ვიზიტების სხვადასხვა სახე. განასხვავებენ უკონტაქტო დახურულ და კონტაქტი ღია ვიზიტებს.

უკონტაქტო დახურული ვიზიტები - ასეთ ვიზიტებს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მნახველი და პატიმარი დაშორებულია ერთმანეთისგან მინის ან სხვა ბარიერით. ჩვეულებრივ ითვალისწინებს მინიმალურ ფიზიკურ კონტაქტს ან საერთოდ გამორიცხავს მას. ეს ვიზიტები ყველაზე მკაცრად კონტროლირდება და ყველაზე მეტად აზიანებს პატიმრის კეთილდღეობისა და რეინტეგრაციის პროცესს. უკონტაქტო ვიზიტები შეიძლება დაშვებული იქნას მაშინ, როდესაც ეს აუცილებლია უსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე.

კონტაქტი ღია ვიზიტი - ამგვარი ვიზიტი იძლევა პატიმრებსა და მნახველებს შორის გარკვეული ფიზიკური სიახლოვის შესაძლებლობას და როგორც წესი არ ითვალისწინებს რაიმე სახის ბარიერს. ამგვარ ვიზიტებზე ხდება ვიზუალური დაკვირვება, მაგრამ საუბარი მიუწვდომელია ციხის პერსონალისთვის .[43]

საყურადღებოა, თუ როგორ ხორციელდება ხანმოკლე პაემნები საქართველოში არსებულ დახურული ტიპის დაწესებულებებში. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №117-ის მიხედვით საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ - დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ხორციელდება მინის გამყოფი ბარიერის მიღმა. უშუალო შეხვედრის ფორმით ხანმოკლე პაემანი დაიშვება მხოლოდ დაწესებულების დირექტორის წერილობითი თანხმობით, ამისათვის გამოყოფილ სპეციალურ ოთახებში, დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმისა და უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით.[44] მინისტრის აღნიშნული ბრძანება - №8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ თვალსაჩინოებითვის გამოიყენება და უნდა აღინიშნოს რომ დახურული

[42] სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, გვ. 129

[43] იქვე, გვ. 129

[44] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №117 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, თბილისი, 2015

დაწესებულებების სხვა დებულებებიც აღნიშნული შინაარსისაა. ანუ, როგორც წესი, პაემნები საქართველოში არსებულ დახურული ტიპის დაწესებულებებში უკონტაქტოდ, ბარიერის მიღმა მიმდინარეობს, რაც უარყოფითად უნდა იქნას შეფასებული.

3.4.სამარტოო პატიმრობის გამოყენება

სამარტოო პატიმრობის უარყოფითი და პოტენციურად, ხანგრძლივი ზეგავლენა პატიმართა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, მათ კეთილდღეობაზე, კარგად არის დოკუმენტირებული. სამედიცინო კვლევა ადასტურებს, რომ აზრიანი, შინაარსიანი ადამიანური კონტაქტის აკრძალვამ შესაძლოა გამოიწვიოს „იზოლაციის სინდრომი", რომლის სიმპტომები მოიცავს შემდეგს: შფოთვა, დეპრესია, სიბრაზე, კოგნიტიური შეფერხებები, აღქმის დამახინჯება/ჰალუცინაციები, პარანოია, ფსიქოზი, თვით-დაზიანება და სუიციდი, რომელთაც შეუძლიათ ადამიანის პიროვნება გაანადგურონ.[45] თუნდაც მხოლოდ რამდენიმედღიანი სამარტოო პატიმრობა, შესაძლოა, უარყოფითად აისახოს ჯანმრთელობაზე და რისკი იზრდება ყოველდღიურად, როდესაც ადამიანი ასეთ პირობებში იმყოფება. გარკვეულ გარემოებებში, სამარტოო პატიმრობა შეიძლება უთანაბრდებოდეს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას. ამას გარდა, სამარტოო პატიმრობის თანამდევი იზოლაციის გამო, არსებობს ადამიანის უფლებების სხვა დარღვევის მომეტებული რისკი.

სამარტოო პატიმრობის გამოყენება, ზოგადად, უარყოფითად მოქმედებს თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის ურთიერთობასა და ციხეში სოციალურ ინტეგრაციაზე და ერთობის განცდაზე. სავარაუდოდ, მას ასევე უარყოფითი ზეგავლენა აქვს პატიმრის რეინტეგრაციისა და რეაბილიტაციის პერსპექტივაზე. სამარტოო პატიმრობა წინააღმდეგობაშია რეაბილიტაციის არსთან, რაც პენიტენციური სისტემის საბოლოო მიზანს წარმოადგენს.[46]

[45] სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, გვ 113
[46] იხ. იქვე, გვ. 114

„მანდელას წესები“ აბსოლუტურად კრძალავს განუსაზღვრელი ვადით ან ხანგრძლივი ვადით სამარტოო პატიმრობის გამოყენებას, ვინაიდან ორივე მათგანი უტოლდება წამებას ან სხვა არასათანადო მოპყრობას.[47]

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მიხედვით ,,არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“[48] სწორედ აღნიშნული მუხლის დარღვევად შეიძლება მივიჩნიოთ სამარტოო პატიმრობის ხანგრძლივად გამოყენება. მაგალითად საქმეში - ლაროსა ურუგვაის წინააღმდეგ (Larrosa vs Uruguay 88/1981 გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა აღიარა, რომ ერთთვიანი სამარტოო პატიმრობა იყო ძალიან ხანგრძლივი და ამით დარღვეულ იქნა კონვენციის მე-3 მუხლი.[49]

საქართველოს პატიმრობის კოდექსიც ცხადია ითვალისწინებს მსჯავრდებულის სამარტოო საკანში მოთავსების შესაძლებლობას 14 დღემდე ვადით, როგორც დისციპლინური სასხელის სახეს და აღნიშნული 14 დღემდე ვადა სავსებით შეესაბამება პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტების მოთხოვნებს, თუმცა აქ საყურადღებოა ერთი გარემოება. კერძოდ, საქართველოს პატიმრობის კოდექსი არ შეიცავს ჩანაწერს იმის თაობაზე თუ რამდენი ხნის შემდეგ შეიძლება იქნას გამოყენებული მსჯავრდებულის სამარტოო საკანში განთავსება ხელმეორედ. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერის არარსებობა ქმნის იმის საფრთხეს, რომ დაწესებულების ხელძღვანელობამ შეიძლება ბოროტად გამოიყენოს მსჯავრდებულის სამარტოო საკანში განთავსების შესაძლებლობა განმეორებით და თან ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში მოხდება. შესაბამისად კანონში უნდა მოხდეს ჩანაწერი რომელიც ერთგვარი ბერკეტი გახდება მსგავსი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

[47] სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ, გვ 114

[48] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი

[49] პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ეფექტური გამოყენებისათვის, თბილისი, 2000

თავი IV. დახურული ტიპის დაწესებულებაში მოთავსება

4.1 დაწესებულებაში მოთავსების ზოგადი საფუძვლები

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში, როგორც წესი, სასჯელს იხდის: პირი, რომელიც პირველად არის მსჯავრდებული განზრახი, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის, სასამართლოს მიერ განესაზღვრა 10 წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთა; განზრახი დანაშაულისათვის არაერთგზის ნასამართლევი პირი, უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირი და ადრე ნასამართლევი პირი, რომლებსაც სასჯელის სახით განსაზღვრული ჰქონდათ თავისუფლების აღკვეთა, აგრეთვე მსჯავრდებული, რომელიც ამ კოდექსით დადგენილი წესით გადმოყვანილია სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან. დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში აგრეთვე შეიძლება განთავსდნენ სხვა მსჯავრდებულები რისკის ფაქტორის გათვალისწინებით. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პატიმრობის ხანგრძლივობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პატიმართა ფსიქიკურ ჯამრთელობაზე,[50] ეს გავლენა მით უფრო თვალსაჩინოა, როდესაც თავისუფლების აღკვეთის აღსრულება დახურული ტიპის დაწესებულებაში ხორციელდება.

4.2 რისკის განსაზღვრა

პირველ რიგში, სანამ უშუალოდ რისკის განსაზღვრაზე და გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოზე გადავალ, მოკლედ მიმოვიხილავ მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის განმსაზღვრელ კრიტერიუმებს - მსჯავრდებულის საშიშროების რისკის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს დაწესებულების, გარშემომყოფთა, საზოგადოების, სახელმწიფოს ან/და სამართალდამცველი ორგანოების უსაფრთხოებისათვის მსჯავრდებულისგან

[50] სახალხო დამცველის ანგარიში, პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე, თბილისი, 2018

მომდინარე საშიშროება, რომელიც განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმების შეფასების საფუძველზე:

ა) მსჯავრდებულის პიროვნული თვისებები;

ბ) ჩადენილი დანაშაულის კატეგორია და დანაშაულის ჩადენის მოტივი;

გ) დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი;

დ) დაწესებულებაში გამოვლენილი ქცევა;

ე) მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი იმგვარი ქმედება, რომელიც იწვევს/გამოიწვევს დაპირისპირებას მსჯავრდებულთა მასასთან და საფრთხეს უქმნის/შეუქმნის მსჯავრდებულის/სხვა მსჯავრდებულების სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას ან პენიტენციური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას;

ვ) დაწესებულების წარმომადგენლებთან და სხვა მსჯავრდებულებთან დამოკიდებულება, მათზე უარყოფითი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა;

ზ) დაწესებულების დებულებითა და დღის განრიგით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება;

თ) ალკოჰოლის, აზარტული თამაშების, ნარკოტიკული, ახალი ფსიქოაქტიური და ფსიქოტროპული ნივთიერებების მიმართ დამოკიდებულება;

ი) მსჯავრდებულის მიერ წარსულში, ასევე დაწესებულებაში დანაშაულის ჩადენის ფაქტები;

კ) დარჩენილი სასჯელის ხანგრძლივობა;

ლ) დაწესებულებიდან გაქცევის ან გაქცევის მცდელობის ფაქტები;

მ) წარსულში დაწესებულებაში სასჯელის მოხდის შემთხვევები;

ნ) მსჯავრდებულის ასაკი;

ო)ქურდულ სამყაროსთან/ტერორიზმთან დამოკიდებულება;

პ) დაწესებულებაში არსებულ სარეაბილიტაციო/რესოციალიზაციის პროგრამებში ჩართულობა;

ჟ) ისეთი თვითდაზიანების მიყენების/მცდელობის ფაქტები, რომლითაც საფრთხე ექმნება ან შეიძლება შეექმნას დაწესებულების ნორმალურ ფუნქციონირებას;

რ) წახალისების/დისციპლინური სახდელის/დისციპლინური პატიმრობის გამოყენების ფაქტი.

საშიშროების მიხედვით მსჯავრდებულთა რისკი შეიძლება იყოს : დაბალი; ბ) საშუალო; გ) მომეტებული; დ) მაღალი.

საშიშროების დაბალი რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარშემომყოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსა ან/და სამართალდამცველი ორგანოებისათვის, ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის დაბალი (მინიმალური). დაბალი რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

საშიშროების საშუალო რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარშემომყოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსა ან/და სამართალდამცველი ორგანოებისათვის, ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის საშუალო. საშუალო რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

საშიშროების მომეტებული რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარშემომყოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსა ან/და სამართალდამცველი ორგანოებისათვის, ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის მომეტებული. მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

საშიშროების მაღალი რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარშემომყოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსა ან/და სამართალდამცველი ორგანოებისათვის, ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის მაღალი. მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებული თავსდება განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

რაც შეეხება უშუალოდ მსჯავრდებულთა საშიშროების რისკის შეფასების პროცედურას, იგი იწყება მსჯავრდებულის შესახებ ინფორმაციის დამუშავებით,

რომლისთვისაც დაწესებულების დირექტორი ქმნის მონაცემთა პირველადი დამუშავების ჯგუფს და ადგენს იმ მსჯავრდებულთა სიას, რომელთა მონაცემებიც უნდა დაამუშაოს ჯგუფმა. ერთმა ჯგუფმა შეიძლება დაამუშაოს არაუმეტეს 700 მსჯავრდებულის მონაცემები. აღნიშნული ჯგუფი შედგება პენიტენციური სამსახურის არანაკლებ 3 თანამშრომლისგან. ჯგუფის შემადგენლობაში შედიან:

ა) დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების არანაკლებ 1 წარმომადგენელი;

ბ) დაწესებულების სპეციალური აღრიცხვის განყოფილების არანაკლებ 1 წარმომადგენელი;

გ) სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის არანაკლებ 1 წარმომადგენელი.[51]

4.3 გადაწყვეტილების მიმღები ორგანო

აღნიშნული ჯგუფის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელიც უკვე განხილულ იქნა წინა თავში, გუნდი დამოუკიდებლად, მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე ახორციელებს მსჯავრდებულის საშიშროების რისკის შეფასებას და მისი რისკის სახის დადგენას. გუნდის წევრი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სათანადო განათლება და პროფესიული გამოცდილება, აგრეთვე საქმიანი და მორალური თვისებები და შეუძლია შეასრულოს გუნდის წევრის ფუნქციები.

გუნდი შედგება 5 ძირითადი და 5 სათადარიგო წევრისაგან. გუნდის შემადგენლობაში შედიან: სამსახურის მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის დეპარტამენტის წარმომადგენლები (სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი), აგრეთვე, დეპარტამენტის უსაფრთხოების მთავარი

[51] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №395, „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე, თბილისი, 2019

სამმართველოს სამართლებრივი რეჟიმის სამმართველოს, ოპერატიული სამმართველოსა და სპეციალური აღრიცხვის სამმართველოს წარმომადგენელი.

რაც შეეხება უშუალოდ გუნდის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს, მასალების მიღებიდან 20 სამუშაო დღის ვადაში, იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის საშიშროების რისკის დადგენის თაობაზე. გადაწყვეტილება, როგორც წესი, მიიღება ზეპირი მოსმენის გარეშე. თუ გუნდი ჩათვლის, რომ მსჯავრდებულისათვის საშიშროების მომეტებული ან მაღალი რისკის დადგენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე საჭიროა უშუალოდ მსჯავრდებულისაგან დამატებითი ინფორმაციის მიღება, იგი უფლებამოსილია, მსჯავრდებულს მოუსმინოს საკუთარი ინიციატივით.[52]

აღნიშნული ჩანაწერი უარყოფითად უნდა იქნას შეფასებული, რადგან აქ საუბარია გუნდის უფლებამოსილებაზე და არა ვალდებულებაზე პირადად გაესაუბროს და მიიღოს ინფორმაცია მსჯავრდებულისგან. აღნიშნული ჩანაწერი უფლებას ართმევს მსჯავრდებულს პირადად მოუსმინონ მას და თვითონ დააფიქსიროს საკუთარი აზრი თუ პოზიცია მთელ რიგ შესაფასებელ საკითხებზე. შესაბამისად, მიმაჩნია რომ რისკის სახის დადგენა არ უნდა ხდებოდეს უშუალოდ მსჯავრდებულთან პირადად გასაუბრების გარეშე, რადგან ეს მეტად მნიშვნელოვანია როგორც მსჯავრდებულისთვის, ასევე თავად გუნდის წევრებისათვის, რათა იყვნენ მეტად ობიექტურნი საკუთარ საქმიანობაში.

4.4 სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა და მისი შესაბამისობა რესოციალიზაციის მიზანთან

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა არის პროცესი, რომელიც უნდა დაეხმაროს მსჯავრდებულებს პატიმრობის დროის საუკეთესოდ გამოყენებაში. იგი დგება იდენტიფიცირებული რისკებისა და საჭიროებების მიხედვით. [53]

---

[52] საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 08.05.2019 წ. №395, „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე, თბილისი, 2019

[53] მ. ხასია, პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, გვ 181

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის სწორად შედგენა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან სწორედ ის წარმოადგენს ერთგვარ გარანტორს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიღწევის თვალსაზრისით.

საყურადღებოა, ის გარემოება, რომ ,,თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მსჯავრდებულებთან მუშაობა უნდა მოხდეს მათი შემდგომი რესოციალიზაციის მიზნის გათვალისწინებით. ყველა ღონისძიება უნდა ატარებდეს ნებაყოფლობით ხასიათს, ანუ არ უნდა იყოს იძულებითი და პირიქით მსჯავრდებულებს თავად უნდა ჰქონდეთ სურვილი აქტიურად ჩაერთნონ დაწესებულების მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში. სასჯელის ასეთი ფორმით აღსრულება, რომელიც ძირითადად ორიენტირებულია მსჯავრდებულის რესოციალიზაციაზე, ითვალისწინებს ასევე პიროვნებაზე მონაცემების შეკრებასა და მათ საიდუმლოდ შენახვას.“[54] დადებითად უნდა შეფასდეს ამ კუთხით საქართველოს კანონმდებლობა, რადგან როგორც უკვე ავღნიშნეთ, ის ითვალისწინებს მსგავსი ინფორმაციის მოძიებასა და შეგროვებას. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინფორმაციის მოძიება მხოლოდ და მხოლოდ მსჯავრდებულის სოციალურ რეაბილიტაციას უნდა ისახავდეს მიზნად და არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს გამოყენებული მსჯავრდებულის საწინააღმდეგოდ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასჯელის მიზნებიდან დამნაშავის რესოციალიზაცია, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთ-ერთი უმთავრესი და მისაღწევად ურთულესი მიზანია, ამ მიზნის მიღწევაში განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრება სასჯელაღსრულების სისტემის სოციალურ სამსახურს, რომელმაც კომპლექსური, თანმიმდევრული და ქმედითი სარეაბილიტაციო ღონისძიებების გატარებით, უნდა უზრუნველყოს მსჯავრდებულის სრული ტრანსფორმაცია და ხელი შეუწყოს მის საზოგადოების სრულფასოვან წევრად დაბრუნებას.[55]

სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის წესი განსაზღვრულია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N 33 ბრძანებით, აღნიშნული ბრძანების მიხედვით: ,,ინდივიდუალური გეგმა ეს არის შეთანხმება დაწესებულებასა და მსჯავრდებულს შორის, რომელზე ხელისმოწერითაც მსჯავრდებული აცხადებს თანხმობას მონაწილეობა მიიღოს დაწესებულების

[54] ო. ფერტენაძე, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა, ბათუმი, 2009, გვ 148
[55] გ. არსოშვილი, დამნაშავის რესოციალიზაცია, თბილისი, 2009, გვ. 6

მიერ შეთავაზებულ რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის აქტივობებსა და საჭირო რეაგირების განხორციელებაში.“[56]

მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასებისას ჯგუფის თითოეული წევრის მიერ მსჯავრდებულთან გასაუბრება უნდა მოხდეს სულ მცირე ერთხელ მაინც.[57]

ინდივიდუალური გეგმა დგება მსჯავრებულის რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე პირველი შეხვედრიდან არაუგვიანეს 1 თვისა და მისი განხორციელების ვადა შეადგენს არაუმეტეს 12 თვეს. ინდივიდუალური გეგმა უნდა შეიცავდეს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის ერთ ან მეტ საჭირო აქტივობას. ინდ. გეგმას აუცილებლად უნდა დაეთანხმოს თავად მსჯავრდებული. მსჯავრდებულს, რომელიც არ ეთანხმება ინდივიდუალურ გეგმას, შესაძლებელია შესთავაზონ ახალი ინდივიდუალური გეგმა უარის თქმიდან არაუგვიანეს 3 თვისა.[58]

პენიტენციური დაწესებულების სოციალური მუშაკი მეტად რთული და ,,ამავდროულად მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგას. ეს პირველ რიგში, განპირობებულია იმით, რომ ადამიანს, რომელიც თავისუფალია, აქვს შესაძლებლობა გააანალიზოს თავისი პრობლემა ნებისმიერ სპეციალისტთან, რომელთანაც მას ხელი მიუწვდება, ხოლო მსჯავრდებულს, რომელსაც შეზღუდული აქვს უფლებები და თავისუფლებები, უბრალოდ არა აქვს შესაძლებლობა მიმართოს ვინმეს დახმარებისთვის. ამდენად პენიტენციურ სისტემაში სოციალური სამუშაო მეტად მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რათა უფლებებითა და თავისუფლებებით უზრუნველყოს ის ადამიანები, რომლებიც იმყოფებიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში.

სწორედ სოციალურმა მუშაკმა უნდა უზრუნველყოს მსჯავრდებულის თავისუფალი დროის ორგანიზება მაქსიმალურად ეფექტურად მისი კულტურულ ღონისძიებებში ჩართვით, ასევე უნდა დაეხმაროს მსჯავრდებულს გადალახოს ფსიქოლოგიური კრიზისი, რომელიც დაკავშირებულია მისი თავისუფლების აღკვეთის დაწესებულაბაში ყოფნასთან, დაეხმაროს მას სასჯელაღსრულების დაწესებულების გარემოსთან ადაპტაციაში, რაც

[56] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება #33 სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, თბილისი, 2015
[57] იხ. იქვე
[58] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება #33 სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ, თბილისი, 2015

პენიტენციური დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე საკმაოდ რთული საკითხია და მეტად ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს.“[59]

თუმცა, ,,სოციალური სამსახურის ფუნქციაში, რომლის ძირითადი საქმიანობაც უნდა იყოს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზება, ზოგადი ჩანაწერების გარდა, არ გვხვდება დეტალურად ჩამოყალიბებული პროცესი, სადაც უნდა იყოს ასახული ამ მიზნის მისაღწევად გადასადგმელი კონკრეტული ნაბიჯები,“[60] რაც უარყოფითად უნდა იქნას შეფასებული.

4.5 გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში გადაყვანა (დისკრეციული თუ სავალდებულო)

საქართველოს მოქმედი კანონდებლობის მიხედვით, გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში შეიძლება მოთავსდეს დაბალი ან საშუალო რისკის მსჯავრდებული, რომელმაც ფაქტობრივად მოიხადა დაწესებულების დებულებით გათვალისწინებული სასჯელის შესაბამისი ვადა.

გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდებული თავსდება სამსახურის გენერალური დირექტორის ბრძანებით და მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. წერილობით თანხმობაში მსჯავრდებული აღნიშნავს, რომ თანახმაა, შეასრულოს გათავისუფლებისთვის მომზადების თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისთვის დადგენილი ვალდებულებები, აგრეთვე ისწავლოს ან/და იმუშაოს და მონაწილეობა მიიღოს ამ დაწესებულების მიერ შეთავაზებულ სარეაბილიტაციო ღონისძიებებში. [61]

როგორც ვხედავთ, მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მომზადების დაწესებულებაში გადაყვანა სამსახურის გენერალური დირექტორის დისკრეციაა. ის, რომ გადაყვანა სავალდებულო არაა, დადებითად უნდა იქნას

[59] მ. ხასია, პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა სახელმძღვანელო, თბილისი, 2008, გვ 174-175

[60] საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ხელმისაწვდომობის კვლევა პენიტენციურ და პრობაციის სისტემებში, გვ. 5
https://www.rivg.ge/media/1001537/2018/01/28/d3d47a58ae02d2a18e67df0dcd9b74f8.pdf

[61] საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №71 - №16 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, თბილისი, 2015

შეფასებული, რადგან წინააღმდეგ შეთხვევაში საქმე გვექნებოდა მსჯავრდებულის იძულებასთან - ესწავლა ან ემუშავა აღნიშნული დაწესებულების მოთხოვნათა შესაბამისად.

თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნული მუხლი საერთოდ არ ითვალისწინებს გათავისუფლებისთვის მომზადების დაწესებულებაში დაბალი ან საშუალო რისკის მსჯავრდებულების გარდა სხვა რისკის განთავსებას. როგორც უკვე რისკების შეფასებისას განვიხილეთ, დაბალი ან საშუალო რისკის მსჯავრდებულები თავსდებიან დაბალი რისკის და ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. ხოლო დახურული ტიპის დაწესებულებაში თავსდება საშიშროების მომეტებული რისკის მქონე მსჯავრდებული, აღნიშნული მუხლის გაანალიზებისას კი ირკვევა, რომ შეუძლებელია დახურული ტიპის დაწესებულებიდან მსჯავრდებული მოხვდეს გათავისუფლებისთვის მომზადების დაწესებულებაში, რაც ართმევს მას შესაძლებლობას გარკვეულწილად წინასწარ მოახდინოს ადაპტაცია გარე სამყაროსთან.

იმ პატიმრების გათავისუფლებისათვის, რომლებსაც ხანგრძლივი ვადით აქვთ აღკვეთილი თავისუფლება, საჭიროა სპეციალური ზომების გატარება მათ მოსამზადებლად, რადგან გამორიცხული არ არის, რომ მათი დახმარების სურვილის მქონე პირები გარეთ უკვე აღარ არსებობენ. [62] ანუ მათთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობისაა ჰქონდეთ გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში გადასვლის შესაძლებლობა, რის საშუალებასაც სამწუხაროდ, საქართველოს კანონმდებლობა არ იძლევა.

[62] ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, 2005, გვ. 127

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომში მოყვანილ იქნა სხვადასხვა მეცნიერებისა და პრაქტიკოსი იურისტების მოსაზრებები. მათი შეხედულებების ანალიზისა და შეჯამების შედეგად, აგრეთვე პირადი დამოკიდებულების გათვალისწინებით, კონკრეტულ საკითხთან მიმართებით წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები.

რესოციალიზაცია სასჯელის პირველი და უმთავრესი მიზანია, რადგან მისი მიღწევის გარეშე, აზრს კარგავს სასჯელის დანარჩენი მიზნების აღსრულებაც. რესოციალიზირებული მსჯავრდებული ნიშნავს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას გრძელვადიანი პერსპექტივით.

რესოციალიზაცია წარმოადგენს როგორც სასჯელის, ასევე სასჯელაღსრულების დაწესებულების მიზანსაც, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული მიზნის პრიორიტეტულობას.

სასჯელაღსრულების დაწესებულებამ თავისი მიზნები უნდა განახორციელოს მსჯავრდებულის რისკისა და საჭიროების შეფასების საფუძველზე, სასჯელის აღსრულების ინდივიდუალური დაგეგმვით, მსჯავრდებულზე აუცილებელი ზედამხედველობითა და კონტროლით, მისი რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისათვის ხელის შეწყობითა და დახმარებით. შესაბამისად, სასჯელაღსრულების დაწესებულების როლი მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის კუთხით მეტად მნიშვნელოვანია.

მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის ხელშეწყობისა და მათი გათავისუფლების შემდგომ - სასჯელის მოხდის პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებული დადებითი შედეგის შესანარჩუნებლად და მეტიც - გასამყარებლად, ქვეყანაში უნდა დაინერგოს აღნიშნულზე კონტროლის მექანიზმი და ეს კონტროლი არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებული პირების ქცევაზე კონტროლს, არამედ უნდა გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები მათი სოციალური რეაბილიტაციის გასამყარებლად. კერძოდ, ეს შეიძლება იყოს გათავისუფლების შემდეგ მათი დასაქმების ხელშეწყობა, აგრეთვე მათი ჩართვა ისეთ პროგრამებში, რომლებიც ხელს შეუწყობს პიროვნების თვითშეფასების ამაღლებას, თვითრეალიზაციის გაუმჯობესებას და მოტივირებას გააგრძელოს ცხოვრება, როგორც

საზოგადოების სრულფასოვანმა წევრმა და შესაბამისად, მის წინაშე ანგარიშვალდებულმა ინდივიდმა.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს რომ არ მოხდეს მსჯავრდებულთა დისკრიმინაცია ნასამართლობის ნიშნით. ქართული რეალობიდან გამომდინარე, ნასამართლევი პირები ნამდვილად დგანან აღნიშნული საფრთხის წინაშე. ისინი განსაკუთრებით დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან დასაქმების კუთხით, რადგან არა მხოლოდ საჯარო, არამედ კერძო სექტორიც ითხოვს ნასამართლობის ცნობას.

მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესის უწყვეტობის შენარჩუნებისთვის საჭიროა უარი ვთქვათ მსჯავრდებულის გადაყვანაზე ერთი სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან მეორეში, რაც საშუალებას იძლევა სპეციალისტთა ერთი და იგივე ჯგუფის მიერ უწყვეტად თავისი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისთვის. ერთი დაწესებულებიდან მეორეში გადაყვანა დადებითად უნდა შეფასდეს მხოლოდდამხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსჯავრდებული უფრო დაბალი რისკის ან გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში გადაჰყავთ, სხვა შემთხვევაში შეიძლება ასეთმა ქმედებამ ხელი შეუშალოს მსჯავრდებულის რესოციალიზაციის პროცესს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მსჯავრდებულები, რომლებიც დახურული ტიპის დაწესებულებაში იმყოფებიან, გათავისუფლების მოახლოებისას გადაყვანილ იქნან გათავისუფლებისთვის მომზადების დაწესებულებაში. შესაბამისად, დახურული ტიპის დაწესებულებაში მყოფ მსჯავრდებულებს უნდა მიეცეთ გათავისუფლებისათვის მომზადების დაწესებულებაში გადაყვანის შესაძლებლობა, რათა გარკვეულწილად წინასწარ მოახდინონ ადაპტაცია გარე სამყაროსთან.

იმისათვის, რომ არ შეილახოს მსჯავრდებულთა ადამიანური ღირსება, მნიშვნელოვანია რომ, ისინი არ იკვებებოდნენ საკუთარ საკნებში, სადაც ასევე განთავსებულია საპირფარეშოებიც.

აგრეთვე, სასურველია, რომ ხანმოკლე პაემანი განხორციელდეს მინის გამყოფი ბარიერის გარეშე, რადგან მსჯავრდებულებს უშუალო კონტაქტი ჰქონდეთ ოჯახის წევრებთან, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მათი რესოციალიზაციის პროცესს.

აღნიშნული კვლევისას თვალსაჩინო გახდა ასევე კანონმდებლობის ხარვეზი მსჯავრდებულის სამარტოო საკანში განთავსებასთან დაკავშირებით. ერთი შეხედვით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს 14 დღემდე ვადით განთავსების გათვალისწინების გამო, თუმცა მეორე მხრივ, არ არის დარეგულირებული თუ რამდენი ხნის შემდეგ არის შესაძლებელი მსჯავრდებულის სამარტოო საკანში ხელმეორედ განთავსება. შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერის არარსებობა ქმნის იმის საფრთხეს, რომ უფლებამოსილმა პირებმა შეიძლება ბოროტად გამოიყენოს მსჯავრდებულის სამარტოო საკანში განთავსების შესაძლებლობა განმეორებით და თან ეს ყველაფერი კანონის ფარგლებში მოხდება. შესაბამისად კანონში უნდა მოხდეს ჩანაწერი რომელიც ერთგვარი ბერკეტი გახდება მსგავსი საფრთხის თავიდან ასაცილებლად.

თავისუფლების აღკვეთა ისედაც მძიმე სასჯელია ნებისმიერი ინდივიდისთვის და დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებით შეიძლება ითქვას, რომ დამატებით სასჯელს ვუწესებთ მას, რადგან დახურული ტიპის დაწესებულება თავისი რეჟიმიდან გამომდინარე ვერ უზრუნველყოფს ადამიანური და სოციალური ურთიერთობების ადეკვატური დონის შენარჩუნებას. უნდა გვახსოვდეს, რომ მსჯავრდებულები ოდესღაც დაუბრუნდებიან საზოგადოებას და მათი სოციუმისგან მსგავსად მკაცრად იზოლირება გამოსავალი არ არის.

გამოყენებული ლიტერატურა

<u>ნორმატიული მასალა:</u>

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს კანონი ,,სისხლის სამართლის კოდექსი“;
3. საქართველოს კანონი ,,პატიმრობის კოდექსი“;
4. საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება 08.05.2019 წ. №395, „მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების წესის, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის წესისა და პირობების, აგრეთვე მსჯავრდებულთა საშიშროების რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის თაობაზე;
5. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №71 15.07.2015 წ. №16 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ;
6. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №33 სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
7. საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება №117 საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ, თბილისი, 2015;

<u>საერთაშორისო აქტები:</u>

1. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, რომი, 1950;
2. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკავშირებით;
3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1989 წლის 13 ოქტომბრის რეკომენდაცია R (89) 12;

<u>სამეცნიერო ლიტერატურა:</u>

1. ადამიანის უფლებები და სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების საკითხებში სასჯელაღსრულების დაწესებულებების თანამშრომელთათვის, 2005;
2. გ. არსოშვილი, დამნაშავის რესოციალიზაცია, 2009
3. გ. ნაჭყებია, სისხლის სამართლის მეცნიერების მეთოდოლოგიური ანბანი, 2006;
4. გ. ნაჭყებია, მსჯავრდებულის ,,მორალური გამოსწორების" საკითხისთვის, სამართალი, #3-4, 1995
5. გ. ტყეშელიაძე, სასჯელის მიზნების საკანონმდებლო განსაზღვრის შესახებ, სერგო ჯორბენაძე - 70, საიუბილეო კრებული, 1996;
6. ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, 2013
7. ი. ვარძელაშვილი, სასჯელის მიზნები, 2016
8. ი. შვაბე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011
9. მართლმსაჯულება და კანონი, მზია ლეკვეიშვილი, სასჯელის მიზნები და სასჯელის შეფარდების სისხისსამართლებრივი და კრიმინოლოგიური ასპექტები, 2014;
10. მ. შალიკაშვილი, გ. მიქანაძე, მ. ხასია, სასჯელაღსრულების სამართალი, 2014 წ.
11. მ. ხასია, პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთა სახელმძღვანელო, 2008
12. ო. ფერტენაძე, თავისუფლების აღკვეთის აღსრულების ეფექტურობა, 2009 წ.
13. სახალხო დამცველის ანგარიში, პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე;
14. „სახელმძღვანელო ნელსონ მანდელას წესების შესახებ";
15. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, ავტორთა კოლექტივი, მზია ლეკვეიშვილი, 2018;

16. პატიმრობის პირობები, თავისუფლება აღკვეთილი პირების ჯანმრთელობის დაცვის შიდასახელმწიფოებრივი გარანტიები და საერთაშორისო სტანდარტები, 2008;
17. პატიმრობის საერთაშორისო სტანდარტები, პრაქტიკული სახელმძღვანელო პატიმრობის საერთაშორისო წესების ეფექტური გამოყენებისათვის, თბილისი, 2000;

<u>სტატიები:</u>

1. ო. გამყრელიძე, ქართულ-გერმანული სისხლის სამართლის ჟურნალი, - www.dgstz.ge;
2. კ. კობერიძე „სასჯელაღსრულების დაწესებულების რეჟიმის მნიშნელობა მსჯავრდებულების რესოციალიზაციისათვის“ ჟურნალი „სამართალი“ N11-12, 2002 წ;

<u>სასამართლო გადაწყვეტილებები:</u>

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/4/592, 2015;

<u>ვებ-მასალა:</u>

http://www.ombudsman.ge

https://matsne.gov.ge